საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი. მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 400 მანეთი. ნაწერი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 239 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 239

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულმოკლული მეუღლე ნოე გიორგის ძე ხომერიკი და შვილი ვიტია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ მათთვის დაუვიწყარის და საყვარელის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა სამშაბათს, 19 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა შაბათს, 23 ოქტომბერს, ნაშუადღევის სამ საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე, ბინაზე, ანასტასიას ქუჩა № 13.

ღრმად დამწუხრებული მამა ივანე ძმა იასონ, და რძალი გოგუცა ნიკოლაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ მათთვის საყვარლის და დაუვიწყარის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას.

დისწულები ელენე, ილიკო, სილვია, ანეტა, მარო, გაბრო და ქეთო ქიქოძეები და სიძე ვიქტორ მგალობლიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი და საყვარელის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას.

ძმისწული ლოლა და სიძე დავით გიორგის ძე ორსელიანი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ საყვარელის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას.

საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის ქალთა ორგანიზაციის მეოთხე რაიონის კოლექტივი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის ორგანიზაციის წევრის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებული სიძე ვარლამ ხურიძე და მეუღლე მისი ოლღა, შვილები: თინა, ადოლფი და ოთარი გლოვით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 17 ოქტომბერს სად. მცხეთაში უცაბედათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

გიორგი ნიკოლოზის ძე საღარეიშვილი

მიცვალებულს წაასვენებენ ქ. ხონში ქარჩხაძის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ.)

17 ოქტომბერს სად. მცხეთაში უცაბედათ გარდაიცვალა კაპიტანი

გიორგი ნიკოლოზის ძე საღარეიშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მარიამი, პატარა ვაჟი პეტიკო, ძმა ალექსანდრე, დები: ოლღა და ანიჩკა, დედა ნატალია, რძლები: ოლიმპიადა და მარიამი, ძმისშვილები: პარასკევა, გრიგოლი, და ილია. მიცვალებულს წაასვენებენ ქ. ხონში ქარჩხამის ეკლესიაში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ.)

კვირას 24 ოქტომბერს ს. ს. დ. მ. პ. თფილისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი იწვევს

სამაზრო კომიტეტის სხდომას

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან. 2) პრეზიდიუმის მოხსენება. 3) ცეკას მოხსენება. 4) ორგანიზაციული მუშაობა მაზრაში. 5) კულტურული მუშაობა პარტიაში. 6) საწევრო გადასახადი. 7) მომავალი არჩევნების სამზადისი. 8) გარე უბნის თემის საკითხი. 9) მიმდინარე საკითხები. ყველა წევრები ვალდებულია აუცილებლათ დაესწროს. კრება გაიხსნება დილის 10 საათზე. სამაზრო კომიტეტის ბინაზე („ერთობის“ რედაქციის შენობა. მეოთხე სართული). **კომიტეტის პრეზიდიუმი.**

(ნ 5—3)

საუკეთესო მატერიები
არჩევით
არის როგორც იაფ ფასიანი ისე ძვირფასი
მიღებულია ამხ. „დრუჟბაში“
(პლეხანოვის პრ. 83, კირკის გვერდით).

წმინდა მატყლეული და ნახევრად მატყლეული	ახლად დამზადებული ქსოვილები საშემოდგომო, საზამთრო და სა-„demi-sesou“-ო პალტოებისა და კოსტიუმებისათვის.
საუკეთესო ბამბეული მატერიები	საგარეო და საშინაო ტანსაცმელებისა, კაპოტებისა და ბლუზებისათვის, ერთფერი და მრავალფერიანი.
თეთრი ქსოვილები	კაცის, ქალის და ბავშვის თეთრეულებისა და ზეწრებისათვის.
აბრეშუმი და ხავერდი	ყოველგვარ დანიშნულებისათვის

არის აგრეთვე მრავალი ბამბაზია, ბაიკა, ზეფირი, ოქსფორდი და სხვ. ფუფაიკები, ქვედა საცვლები, პერანგები, ცხვირსახოცები, წინდები და ჩულქები.

(3908—1—1)

სახელმწ. თეატრი.
ოპერა.
21 ოქტომბერს-
მანონი

22 ოქტომბერს მესამე ბალეტის საღამო, მიხ. მორდკინისა. 23 ოქტომბერს ოპერა მუშებისათვის ფაუსტი და ვალპურგის ღამე. 24 ოქტომბერს გოფმანის ზღაპრები. დასაწყისი სრულ 7½ საათ. სახ. ოპერის დირიჟორი- ს. ი. ევლახიშვილი. (ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

ხუთშაბათს, ოქტომბრის 21-ს	შაბათს, ოქტომბრის 23-ს
„სიცრუე“	„ოიდიპოს მეფე“
ვინნიჩენკოსი.	სოფოკლესი.

კვირას, ოქტომბრის 24-ს
საღამოთი, წარმოდგენა მუშებისათვის
„გუშინდელნი“
შალვა დადიანისა.

ბილეთები კასაში. დასაწყისი სად 7½ ნახ. საათზე.
(ნ. 2—2)

კიდევ ადერბეიჯანზე.

ადერბეიჯანთან მოლაპარაკება—ერთი დიდი, დაუსრულებელი ეპოპეა შეიქმნა, ეპოპეია დაპირების, გაჭიანურების, მოტყუების, უპირობის. შეუძლებელია უფრო უარესის წარმოდგენა

„საქართველო“ ამ შემთხვევაშიაც, რასაკვირველია, სოც.-დემოკრატიას სდებს ბრალს, თვით კომუნისტების უპირობას ჩვენ გვახვევს თავზე, რათ არ ვიცოდით. დიახ, ვიცოდით, განა ძნელი იყო ამის ცოდნა? მაგრამ ომს მაინც ვამჯობინეთ მათი მორალური შერცხვენა.

დღეს მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ადერბეიჯანში კომუნისტური მართველობის შემოღებიდან იწყება ულმობელესი ბრძოლა მცირე ერების წინააღმდეგ. დღეს ყველამ იცის, რომ რუსეთის კომუნისტები ადერბეიჯანის საშუალებით ცდილობენ საბოლოოდ გააუქმონ ის ხელშეკრულება, რომლითაც მათ იცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა და საზღვრები.

ჩვენ ამრიგათ საქმე გვაქვს არა ადერბეიჯანთან, არამედ საბჭოთა რუსეთთან. ბაქო ვერ გადადგამს ერთ სერიოზულ ნაბიჯსაც კი მოსკოვის უნებურათ. რაგინდ დიდი ანარქია იყოს რუსეთის მართველობაში, ბაქო მაინც დიდი ყურადღების საგანი იქნება მოსკოვის მფლობელთათვის. და ამიტომ ჩვენ არ გვიკვირს, რომ შემუშავებული ხელშეკრულება ხელმოუწერელი რჩება და სხვადასხვა მიზეზების გამო იდება. არც ის გვიკვირს, რომ უკვე დადებული და ხელმოწერილი პირობა აუსრულებელი რჩება.

დიდმა რუსეთმა იცის, რომ ჩვენ ომს არ გამოვუცხადებთ. იცის, რომ ჩვენ ომის დაწყების სურვილი არც როდის გვქონია. ჩვენ მაშინაც გვძულს ომი, როცა იძულებული ვართ იგი თავდაცვისთვის ვაწარმოვოთ. და ამ მისწრაფებას ჩვენი დემოკრატიისას იგინი ბოროტათ იყენებენ.

ჩვენი ეკონომიური დასუსტებით, დაუძლურებით ცდილობენ შინ არევ დარევა გამოიწვიონ და ამით ხელჩასაჭიდი საბაბი მიიღონ გარედან შემოსატევათ. ჩვენ ვიცით ეს, და ვიცით ისიც, რომ საქართველოს დემოკრატია ამ ანკესზე არ წამოეგება. იგი არ აფეთქდება შინაური ძალებით. პირიქით გაჭირვების ხანაში უფრო მჭიდროთ შეკავშირდება მთელი ხალხი და ერთსულოვნებას გამოიჩენს. მთელს ენერგიას ამ გასაჭირიდან თავის დაღწევას მოანდომებს. ბაქოდან დანაკლის სათბობ მასალას სხვა მასალით შესცვლის.

მაგრამ დიდი რუსეთის კომუნისტები რას იტყვიან? ამ დღეებში მათი წარმომადგენელი საქართველოში დანიშნული ელჩად, ამ დღეებში იქნება ბაქოში და ამ საკითხზე უნდა თავის საბოლოო სიტყვა სთქვას.

ჩვენ ვიცით, ანტიბოლშევიკურ ძალებსაც დიდი სურვილი აქვთ საქართველო თავის ბაზათ გაიხადონ და კომუნისტურ რუსეთს შეახალონ. და ამ მისწრაფებას ხელს უწყობს თვით ბოლშევიკებიც თავის მტრული და უხეში პოლიტიკით. ამიტომ ერთი ორად მეტი სიფრთხილე გვმართებს. ორივე მხრით მოტანილ იერიშებს უნდა გაუძლოს საქართველოს დემოკრატიამ. იგი ვერც ევროპის იმპერიალისტების გზას გაჰყვება, ვერც კომუნისტურ ექსპერიმენტებს ჩაებმება. ეს ორივე ურთიერთის შეჯახებას და მაშასადამე ომიანობის საშინელებას გვიქადის. ჩვენ კი გვინდა მოპოვებულ დემოკრატიულ უფლებების განმტკიცება და დემოკრატიულ წყობილების დამკვიდრება, ჩვენ გვინდა მშვიდობიანობის დაცვა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნება.

ეს არის მთავარი გზა ჩვენის პოლიტიკის. თავის აგრესიული პოლიტიკით კომუნისტები წითელ საფარველ ქვეშ დაფარულ შავ გულს გამოაჩენენ, იმპერიალისტებიც თავის ზრახვას ააშკარავებენ. ჩვენ უნდა გამოვტყდეთ, ოდნავი იმედიც არ გვაქვს კომუნისტებისაგან ან ევროპის იმპერიალისტებისაგან თავის გზის შეცვლის. მაგრამ მაინც დავუცდით მოსკოვის წარმომადგენლის სიტყვას, რომელიც ამ დღეებში უნდა ითქვას ბაქოში.

ერთა საზოგადოების მომავალ კრების გამო. *)

დამფუძნებელი კრების წევრს გ. გვაზავას პრეზიდიუმისათვის წარუდგენია განცხადება, სადაც ის წინადადებას იძლევა დაინიშნოს სამი წარმომადგენელი ერთა საზოგადოების მიერ ნოემბრისთვის ჟენევაში მოწვეულ კრებაზე დასასწრებლათ. პრეზიდიუმს ის საკითხი ფრაქციათა წარმომადგენლების შეერთებულ სხდომაზე განუხილავს და დაუდგენია—შეიტანოს იგი დამფუძნებელ კრებაში სადაც ის გადაეცემა განსახილველათ იურიდიულ კომისიას.

როცა პარიზში მყოფმა საქართველოს დელეგაციამ სთხოვა ერთა საზოგადოებას საქართველოს სრულ უფლებიან წევრათ მიღება, საზოგადოების კომიტეტმა საპასუხოთ მოსწერა, მას, რომ, თუ რომელიმე ერს (ე. ი. სახელმწიფოს) სურს საზოგადოებაში შესვლა, ამის შესახებ ერის **მთავრობამ** უნდა იშუამდგომლოს. კომიტეტი თან უმატებდა, რომ ერი გახდება საზოგადოების კანდიდატათ, თუ ის აკმაყოფილებს საზოგადოების წესდების ერთ საყურადღებო მუხლსო. არ მახსოვს რომელი იყო ეს მუხლი, მაგრამ, თუ არ ვცდები, მასში ის აზრი არის გამოთქმული, რომ ერი უნდა იყოს **ცნობილი** (ე. ი. მისი სახელმწიფო, უნდა იყოს **იურიდიულათ ცნობილი**), რომ ის გახდეს ერთა საზოგადოების მსჯელობის საგნათ.

აქედან აშკარაა, რომ ვინც უნდა გავგზავნოთ და ვინც უნდა სთხოვოს, საქართველოს ჯერჯერობით ერთა საზოგადოების წევრათ არ მიიღებენ და ამიტომ მის წარმომადგენელთა ჟენევის **კრებაზე „დასწრებაზე“** ლაპარაკიც მეტია.

მაგრამ თუ საჭიროთ ვხედავთ, რომ მთავრობამ ერთხელ კიდევ სთხოვოს ერთა საზოგადოების კრებას ჩვენი ერის ერთა ოჯახში შესვლის შესახებ, ამისათვის აღნიშნულ პირობებში სრულიად **არ არის საჭირო** საგანგებოთ ვინმეს (მით უფრო სამი პირის) ევროპაში გაგზავნა. ეს იქნება მხოლოდ ზედმეტი და **უსარგებლო ხარჯი**, რასაც ჩვენ მდგომარეობაში უნდა მოვერიდოთ. ჩვენ გვყავს პარიზში მთავრობის წარმომადგენელი ევ. გეგეჭკორი; კ. ჩხეიძე დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, თუ ამ უმაღლეს დაწესებულების წარმომადგენელიც უნდა გამოცხადდეს ჟენევაში, მათ შეუძლიათ შეასრულონ დავალება, რისთვისაც გაეგზავნება შესაფერი მანდატი. ისინი გადასცემენ ერთა საზოგადოების მდივანს შესაფერ ნოტას, განცხადებას და, თუ არაფერი გამოვიდა რაც მოსალოდნელია, უკან დაბრუნდებიან და ჩვენც არაფერს წავაგებთ. მე ვფიქრობ, იურიდიული კომისია, რომელსაც ჩემზე ნაკლებათ არ ესმის საქმის ვითარება, ამ აზრით განუმარტავს დამფუძნებელ კრებას, თუ რა ბედი უნდა ეწვიოს შემოტანილ წინადადებას.

ცოტა სხვანაირათ სდგას საკითხი მეორე წინადადების შესახებ, რომლის მიზანია საერთაშორისო **შრომის ბიუროში** წარმომადგენლების დანიშვნის შესახებ. უნდა ვთქვათ, რომ ეს დაწესებულებაც ვერსალის ხელშეკრულების საშუალებით დაბადებული. აქ შესვლაც **საჭიროა**, მარა რადგან იქ მუშათა კლასის წარმომადგენელთ დიდი გავლენა აქვთ, ამისათვის ჩვენ კიდევ შეგვიძლია მათზე იმედების დამყარებით მოველოდეთ, რომ საქართველო არ დარჩება საერთაშორისო ამ დაწესებულების გარეშე. მაგრამ აქაც ოთხი წარმომადგენელი, როგორც ამას დამფუძნებელ კრებაში შეტანილი წინადადება მოითხოვს, არ არის საჭირო. შრომის ბიუროს საზოგადოთ ჰყავს წარმომადგენელი: ა) მუშათა კლასისაგან, ბ) პატრონებისაგან და გ) მთავრობისაგან. მაშ სამი პირი სრულიად საკმაოა. ამისთვის იმავე მოსაზრების გამო (საკითხის გამოურკვევლობა და ხარჯის შემცირება) მთავრობას შეუძლია გამოიყენოს ევროპაში მყოფი პირი; მუშები, მე ვფიქრობ, დაავალებენ ამ საქმეს ირ. წერეთელს და პატრონები მოიქცევიან ისე, როგორც ეს მათ მოესურვებათ.

მარა ერთი ფრიად საყურადღებო საერთაშორისო ყრილობა უნდა მოხდეს ახლო მომავალში, ჰოლანდიაში. ეს არის **პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ყრილობა**, სადაც გაირჩევა ფრიად სერიოზული, საჭირბოროტო და სამდროვო საკითხი: სურსათ-სანოვაგის, სათბობი მასალის და ნედლეულობის საერთაშორისო განაწილება. ამ საკითხთან ერთად გაირჩევა აგრეთვე სავალუტო საკითხი და საკითხი წარმოების სოციალიზაციის შესახებ.

აქ კი, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ, როგორც ევროპაში მყოფი ქართველი, ისე ევროპიელი ამხანაგები, რომელნიც განსაკუთრებით სოციალისტურ დელეგაციის აქ ყოფნის შემდეგ, ძლიერ შეგვიწყობენ ხელს და დაგვეხმარებიან. ამას გარდა, არ უნდა დავიშუროთ არაფერი და აქედანაც გავგზავნოთ ერთი ან ორი პირი.

ანტონ ჟორჟოლიანი.

---

*) ხშირათ ამ საზოგადოებას **ლიგას** **ეძახიან**. მართალია, ფიქრობდენ ის ასეთი სახელით მოენათლათ, მარა დაბოლოს ამას დაერქვა **საზოგადოება**, „ერთა საზოგადოება“. ამავე სახელწოდებით არის ის ჩაწერილი ვერსალის ხელშეკრულებაში, სადაც მას საფუძველი ჩაეყარა. ავტ.

პრესა

სოც.-დ. ორგანიზაციების თათბირზე ფართოდ იყო დაყენებული საკითხი ჩვენი ეკონომიური გაჭირვების შესახებ. გულახდილად და პირდაპირ ითქვა, რომ ჩვენი რესპუბლიკა კატასტროფიული მდგომარეობისაკენ მიექანება. ამ ღიაობას ძალიან გაუხარებია, როგორც „უკიდურესი მემარცხენე“, ისე უკიდურესი მემარჯვენე ოპოზიცია. ამ უკანასკნელის სულისკვეთების გამომხატველი „საქართველო“ სიხარულით ხელებს იფშვნეტს და მენშევიკურ პოლიტიკის სრულ კოტრობაზე ოცნებობს. იგი დარწმუნებულია, რომ დადგა წამი „მენშევიკური გზის“ შეცვლისა:

„თავიდათავი საქმე ისაა, თუ რა გზას აირჩევს მენშევიკური მთავრობა, როდესაც იგი დაიძვრის ამ დაჭერილი პუნქტიდან, ახალი გზების საძებნად. აქ შესაძლებელია ორში ერთი: ან ევროპიული, ბურჟუაზიული—დემოკრატიული გზა, ან რუსული, პროლეტარულ-ბოლშევიკური. მესამე გზა, მენშევიკების ძველი გზა: არც აქეთ, არც იქით, ან ნახევრად ევროპიული და ნახევრად რუსული გზა: უნდა იქნეს უკუგდებული, როგორც მეზალიანსი ორი შეუთვისებელი ელემენტისა, რომელმაც შეგვიქმნა აწინდელი სავალალო მდგომარეობა. ამ მესამე გზის დაცვას მენშევიკებიც ველარ ბედავენ მას შემდეგ, რაც საჯაროდ გამოაცხადეს საქართველოს ეკონომიკის და ფინანსების დღევანდელი კატასტროფიული მდგომარეობა,—ეს შედეგი და დასკვნა მენშევიკური გზით სიარულისა. რჩება ორი ზემო დასახელებული გზა.

რომელ მათგანს დაადგება ქართველი მენშევიზმი?

„საქართველომ“ კარგათ იცის, რომ ბოლშევიკური ანარქიის გზა ჩვენთვის მიუღებელია, და სიხარულით მოელის, რომ ჩვენი რესპუბლიკა დღეს არა ხვალ უნდა დაადგეს იმ გზას, რომელზედაც მუდამ მიუთითებდენ „საქართველოს“ სულის ჩამდგმელები და რომელსაც ისინი უწოდებენ „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულს“. რა გზაა ეს გზა? „საქართველო“ უკანასკნელ მოწინავეში ასე გვიმარტავს მას:

„თათბირი ლოიალურად დაადგება იმ ევოლიუციის გზას, რომელმაც შექმნა დიდი ნივთიერი და სულიერი კულტურა, თავისუფალ კონკურენციისა და კერძო ინიციატივის ფართე თვითმოქმედების ნიადაგზე და რომელიც ყოველს ქვეყანაზე გამოითქვა დემოკრატიულ ბურჟუაზიული იდეოლოგიის პრაქტიკაში. ამგვარი ნაბიჯისთვის საჭიროა როგორც დიდი პატრიოტიზმი, ისე მაღალი გონება“.

მაშასადამე „საქართველოს“ მიერ ნაჩვენები რეცეპტი, რომელიც მის სულის ჩამდგმელებს, უეჭველია, „დიდმა პატრიოტიზმმა“ და „მაღალმა გონებამ“ უკარნახათ, მდგომარეობს „თავისუფალი კონკურენციის და კერძო ინიციატივის“ განმტკიცებაში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ პრინციპზე იყო აშენებული მთელი პოლიტიკა მე-19 საუკუნის დასავლეთ ევროპისა და ჩვენ ვიცით, რომ ამ პოლიტიკამ იგი მიიყვანა უსაშინლეს ომამდის, რომელმაც მსხვერპლად შეიწირა 70 მილიონი სიცოცხლე და საუკუნოებით დაგროვილი ავლადიდების ნახევარი. ჩვენ ვიცით, რომ ეს პოლიტიკა დღეს იმდენათ მოძველებული და გაკოტრებული გამოდგა, რომ პირიქით, თვით „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული“ იდეოლოგიის მიმდევრებიც ვეღარ სთვლიან შესაძლებლად მის დაცვას. მაგრამ ჩვენში კი ამ დახავსებულს, დამღუპველს და მართლაც გაკოტრებულს პოლიტიკას მედგრათ იცავს „საქართველო“ და ირწმუნება, რომ მას ეს მოსდის „დიდი პატრიოტიზმით“ და „მაღალი გონებით“! მახლოს!

* * *

„მშაკ“-ი, ორგანო სომხეთა სახალხო პარტიისა“ თავის მეთაურში „ყოფნა არ ყოფნა“-ს სათაურით (№ 115) სწერს შემდეგს:

„ხუთი თვე მოსკოვი ეთამაშებოდა სომხებს, როგორც კატა თაგვს. ეხლა გათავდა ეს თამაში. საბჭოთა რუსეთმა მოგვწყვიტა ჩვენი მიმძინებელი და მომატყუებელი ენით ლაპარაკი.

ამ ჟამად ჩვენ წინაშე დადგა ჰამლეტის საკითხი—ყოფნა თუ არ ყოფნა?

რაში მდგომარეობს თურქთა ბოლშევიკების შორის მომხდარი შეთანხმება?

„ეს შეთანხმება იმაში მდგომარეობს, რომ წინანდელი ოსმალეთის სომხეთი ყარსიანათ მიეცეს ქემალ-ფაშას, დანარჩენი კი ლენინს.

„ამ რიგათ სომხეთის სახელმწიფო დგას დიდი საფრთხის წინაშე. სომხეთს უნახავს მონღოლების, ლენგთემურის თავდასხმები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეედრება. შევადაროთ მოსკოვიდან მოსულ ძალადობას. სომხობისთვის ლენინი ჩინგისხანზედაც ცუდია. ენვერ-ფაშამ დახოცა 800,000 სომეხი. დღეს ლენინი აიძულებს, რომ სომხებმა თავის ნებით ჯინჯილი დაიდონ თავისთ კისერზე და ენვერ ფაშის წინაშე მონობა აღიარონ. არც ჩინგისხანს, არც ატტილას და არც ლენგთემურს ამისთანა ძალადობა არ უხმარია არც ერთ ხალხზე.

ყოფნა თუ არ ყოფნა?

სომეხმა ხალხმა უნდა იარსებოს, ასე ათავებს გაზ. „მშაკ“-ი, ის ყოფილა და უნდა იყოს კიდეც. ქვეყანა გადურჩა ნაპოლეონებს, ვილჰელმებს, აბდულ ჰამიდებს, ერთ დღეს ის მოიშორებს აგრეთვე წითელ ჩინგის ხანებს. ვირწმუნოთ, რომ არსებობს თავისუფლება და უნდა იარსებოს. სომხეთის მთავრობას უარუყვია ლენინის წინადადება. სხვანაირათ მას არ შეეძლო მოქცევა.

მთელი სომეხი ხალხი უნდა შემოკრბეს სომხეთის მთავრობის გარშემო და გადაიქცეს ერთ ნებათ და დაიცვას სომხეთის მიწა წყალი, სომხეთის თავისუფლება.

სომხეთს მოევლინება ძალა ამ დიდი საფრთხის წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთში

კავკავის „კომუნისტში“ 3 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია 2 შემდეგი დოკუმენტი:

ლონდონის გაზეთის „დეილი ნიუსის“ კორესპონდენტის რადიო-ტელეგრამა ლენინის სახელზე და ლენინის პასუხი.

ლენინს. საბჭოთა მთავრობა, მოსკოვი. საფრანგეთის და გერმანიის სოციალისტურ პარტიების დეპუტაციების ანგარიშებმა თქვენს საქმეს უფრო მეტი ზიანი მიაყენეს, ვიდრე მთელმა ანტიბოლშევიკურმა პროპაგანდამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. ბრიტანეთის დელეგაციის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასტიკათ იდევნებიან საბჭოთა სისტემის ყველა მოწინააღმდეგენი, იმ დროს, როდესაც მუშებში არ არის დისციპლინა; ამასთანავე ვერც მოხერხდა, რომ გლეხებმა მიიღონ ახალი რეჟიმი. ბისტრან რესელმა მიუთითა აგრეთვე ტირანიაზე, რომელიც ტარდება თქვენი გამგებლობის დროს.

აქ გამოქვეყნებული მოხსენება გერმანიის დამოუკიდებელ სოციალისტის დიტმანის მიერ—კიდევ უფრო არახელსაყრელია თქვენთვის. ის აღნიშნავს, რომ იმ მუშებს, რომლებიც უარს იტყვიან რუსეთში მუშაობაზე, თქვენ ხვრეტთ. ის მიუთითებს, რომ რუსეთის მცხოვრებთა 75%—გლეხებია, და რომ ისინი არ არიან არც სოციალისტები და არც კომუნისტები. დიტმანი ამბობს, რომ რუსეთს მართავს მილიტარიზმი,

დღეს

გენერალური შტაბის განცხადებით 1900 წ. დაბადებულთა ჯარში გაწვევა დაიწყება ა/წ. 15 ნოემბრიდან.

გერმანიის მთავრობამ ზინოვიევს და ლოზოვსკის წინადადება მისცა დასტოვონ გერმანიის საზღვრები.

ვრანგელის ჯარსა და ბოლშევიკებს შორის გაცხოველებული ბრძოლა სწარმოებს.

რომ დეზერტირებს ხვრეტენ, მუშებს კი არ აძლევენ გაფიცვების ნებას. ის აცხადებს, რომ რუსეთის ქალაქებში არ არის არც სოციალიზმი, არც კომუნიზმი, და რომ პროლეტარიატის დიქტატურის მაგიერ არსებობს მხოლოდ პროლეტარიატზე დიქტატურა.

ხომ არ შეგიძლიათ თქვენ გამომიგზავნეთ დაწვრილებითი პასუხი ამ ბრალდებებზე, რომლებიც თქვენთვის მით უფრო საზიანოა, რომ ამას აყენებენ ცნობილი სოციალისტები. თუ შეიძლება, გვიპასუხეთ ჩვენ შემდეგ კითხვებზე: 1) როგორია თქვენი პასუხი იმ ბრალდებებზე, რომლებსაც შეიცავდა პრეზიდენტ ვილსონის უკანასკნელი ნოტა; 2) აქ გამოქვეყნდა კიდევ ორი დაწვრილებითი ანგარიში მეფის ოჯახობის მოკვლის ამბისა—რა ზომები მიიღო საბჭოთა მთავრობამ მკვლელობის წინააღმდეგ?

ჩემს, როგორც ჟურნალისტის, კეთილსინდისიერებას თქვენ დაგიმოწმებთ ბელა-კუნი, რომელიც ეხლა რუსეთში იმყოფება. მიპასუხეთ მე შემდეგი მისამართით: სეგრიუ, „ლონდონ დეილი ნიუსის" კორესპონდენტს, ოტელი „ადლონი", ბერლინი.

პასუხი ლენინისა გაზეთ „დეილი ნიუსის" კორესპონდენტს მ. სეგრიუს.

თქვენი ტელეგრამით მოცემულ კითხვის საპასუხოთ გაცნობებთ, რომ თავდასხმა ბოლშევიზმზე გერმანიის დამოუკიდებელთა მემარჯვენე ფრთის მხრივ, მაგ. დიტმანის საყვედურები მე არ მაკვირვებს.

მე დავამტკიცე ჩემს სიტყვაში და კომინტერნის სხდომაზე მოსკოვში, რომ კრისპიენის იდეები სავსებით კ. კაუცკიანურია. ბუნებრივია, რომ კაუცკიანელები, მაგ. კრისპინი და დიტმანი, უკმაყოფილონი არიან ბოლშევიზმით. სამწუხარო იქნებოდა, რომ ასეთი ხალხი ჩვენით კმაყოფილი ყოფილიყო. ბუნებრივია, რომ ისეთი წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატები, როგორიც არის დიტმანი, სავსებით ჰგვანან ჩვენს მენშევიკებს და პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის ბრძოლის დროს ხშირად უკანასკნელის მხარეზე სდგებიან. დიტმანი აღშფოთებულია დახვრეტით, მაგრამ, ბუნებრივია, რომ მენშევიკებს ამ შემთხვევაში ხვრეტენ რევოლიუციონური მუშები და რომ დიტმანს ეს არ შეიძლება ძალიან მოეწონოს. უვარგისი იქნებოდა მესამე ინტერნაციონალი, თუ ის შეუშვებდა თავის რიგებში საფრანგეთის, გერმანიის და სხვა რომელი გნებავთ ყალბისაც დიტმანებს.

თუ თქვენ ჰფიქრობთ, რომ ბოლშევიზმს მუშათა დელეგაციების ანგარიშებმა უფრო მეტი ზიანი მოუტანეს, ვიდრე ანტიბოლშევიკურმა პროპაგანდამ,—მე სიამოვნებით ვღებულობ აქედან გამომდინარე დასკვნებს.

მოდით, დავდოთ პირობა: თქვენ მთელი ქვეყნის ანტიბოლშევიკურ ბურჟუაზიის სახელით, მე რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით. დე, თანახმათ ამ ხელშეკრულებისა რუსეთში გამოიგზავნონ ყველა ქვეყნებიდან დელეგაციები მუშების და წვრილი გლეხების (ე. ი. მშრომელების, რომლებიც თავის შრომით ჰქმნიან კაპიტალს მოგებას) იმ პირობით, რომ თვითეულმა დელეგაციამ იცხოვროს რუსეთში ორი თვე. თუ ამისთანა დელეგაციების ანგარიში სასარგებლოა ანტიბოლშევიკურ პროპაგანდის საქმისათვის,—მაშინ ყველა ხარჯი იმათ გამოსაგზავნათ უნდა აიღოს თავის თავზე საერთაშორისო ბურჟუაზიამ. მაგრამ, ვიღებ რა მხედველობაში, რომ ეს ბურჟუაზია ყველა ქვეყნებში მეტად სუსტი და ღარიბია, ჩვენ კი რუსეთში ძლიერნი და მდიდრები ვართ;—მე თანახმა ვარ გამოვითხოვო საბჭოთა მთავრობისაგან ისეთი შეღავათი, რომ ხარჯების სამი მეოთხედი მან აიღოს თავის თავზე და მხოლოდ ერთი მეოთხედი დააწვეს ყველა ქვეყნების მილიონერებს.

იმედი მაქვს, რომ თქვენ თვითონ, რომელიც თავის თავს კეთილსინდისიერს ჟურნალისტს ეძახით, უარს არ იტყვით გაავრცელოთ ყველგან საბჭოთა რუსეთსა და საერთაშორისო ბურჟუაზიას შორის ასეთი ხელშეკრულების იდეა, რასაკვირველია, ანტი-ბოლშევიკურ აგიტაციის ინტერესებში. ლენინი.

8 სექტემბერი, 1920 წელი.

ამბოხებები უკრაინაში. უცხოეთის გაზეთებიდან ჩვენ შემდეგს ვტყობილობთ უკრაინაში მომხდარ ამბოხებების შესახებ. ცნობები მიმდინარე წლის სექტემბრის შუა რიცხვებს შეეხება. ამბოხებების მიზეზი იყო მობილიზაცია და სხვა რეპრესიები, რომლებსაც ბოლშევიკები მიმართავდენ. მცხოვრებლები აშკარათ ჩაუდგენ ოპოზიციაში საბჭოთა მთავრობას და მოაწყვეს აჯანყებულთა რაზმები; მათ დაიკავეს უკრაინის ნაწილი, რომელიც დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. გაზ. „პოსლედნია ნოვოსტი" ასახელებს იმ რაზმებს, რომლებიც დნეპრის რაიონში მოქმედებდენ. კიევის გუბერნიაში მოქმედ აჯანყებულთა რაზმს ხელმძღვანელობს ვიღაც პოლკოვნიკი სტრუკი; მას დაკავებული აქვს რაიონი კიევიდან ვიდრე ოსტერამდე, მოზირამდე, ოვრუჩამდე და რადომისლამდე. რაზმი 4 ნაწილისაგან შესდგება; მათ შორის ორი ცხენოსანი რაზმია.

ჩერნობილთან დნეპრზე სდარაჯობს 3 ჯავშნოსანი გემი, რომლებიც ბოლშევიკებს წაართვეს. ბერდიჩევის, მალინის, ბრუსილოვისა და მაკაროვის რაიონი ატამან ჟელეზნიაკოვის რაზმს უკავია, რომელსაც ასისთავი ვოლოშენკო ხელმძღვანელობს. ფასტოვის, ვასილკოვის და „ბელაია ცერკვის" რაიონებში პოდგორსკისა და გონჩარიკის რაზმები მოქმედებენ. ტრიპოლიას რაიონი ხორუნჟი ციგანს აქვს დაჭერილი. აჯანყებულებს მტკიცე კავშირი აქვთ დაჭერილი რომაშკოს რაზმებთან. უკანასკნელს დაკავებული აქვს კიევ-გრებენკისა და კიევ-ნეჟინის რკინის გზები. მასთან სტრატეგის როლს ასრულებს გენ. სეკირა, რომელიც დივიზიის უფროსი იყო. კონოტოპ-ნეჟინის ხაზი დაკავებული აქვს ახლად შედგენილ ივანე სირკას სახელობის რაზმს, რომელსაც ხორუნჟები ივაშჩენკო და ლოშჩივა ხელმძღვანელობენ. ბოლშევიკებმა აღუთქვეს აჯანყებულებს ამნისტია, თუ ისინი იარაღს ჩააბარებდენ. მაგრამ ყველა აჯანყებულებმა განუცხადეს, რომ იბრძოლებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უკრაინის თავისუფლებისათვის და არ დაუჯერებენ ბოლშევიკების პროკლამაციების დაპირებებს, რომლებსაც ისინი ჰაეროპლანებიდან ჰყრიან.

ქვანახშირის ნაკლებობა. „პოსლედნია ნოვოსტი" იუწყება: მთელი დონეცის ხეობა ტაგანროგის ოლქის ნაწილთან და დონის ოლქის სამრეწველო ნაწილთან ერთად ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად არის გამოყოფილი. საგუბერნიო ქალაქს ლუგანსკი წარმოადგენს. ქვანახშირი თითქმის სრულიად არ მოიპოვება. დიდ მაღაროებში მუშაობა აღარ არის. მუშა ხელის ნაკლულოვანობის გამო მიღებულია გადამწყვეტი ზომები მუშების შესაკრებად. თუ მუშამ გამოტოვა სამსახური ორჯერ ისე, რომ საპატიო მიზეზი არ ექნა, დაჭერილი იქნება. მუშები „მეშოჩნიკებად" გადაიქცნენ. ყიდიან უფრო მარილს, ვინაიდან მოსკოვში ფუთი მარილი 4000 მან. ღირს. მარილის საშინელი ნაკლულოვანობა არის მიზეზი ბავშვების გადაგვარებისა მოსკოვში.

ახალგაზრდების ჯარში გაწვევა

გენერალური შტაბი აცხადებს, რომ თანახმად 1919 წლის 31 ივლისის შეიარაღებულ ძალთა და სამხედრო ბეგრის კანონისა, 1900 წელში დაბადებულთა მორიგი გაწვევა ჯარში დაიწყება ამა წლის 15 ნოემბერს.

რესპუბლიკის ყველა 1900 წელში დაბადებული მოქალაქე გარდა იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ამ ჟამად უკვე მსახურობენ ჯარში და აგრეთვე მათზე უფროსებიც, რომლებსაც შარშან ვადა გაუდიდდათ, ვალდებული არის გამოცხადდეს იმ მაზრის სამხედრო აღრიცხვის განყოფილებაში, სადაც ის შეტანილია გაწვევის სიებში.

აგრეთვე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ის სამხედრო ვალდებულნიც, რომლებიც მიზეზების გამო არ არიან შეტანილნი გაწვევის სიებში.

გამოცხადების დღე იქნება გამოქვეყნებული თავის დროზე სამაზრო ერობათა და ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ.

ნებადართულია გამოცხადება უახლოეს სამხედრო აღრიცხვის განყოფილებაშიც, დროებით საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, მაგრამ, ამ შემთხვევაში ახალ გაწვეულმა არა უგვიანეს 1 ნოემბრისა უნდა წარუდგინოს იმ სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს, სადაც მას სურს გამოცხადდეს: 1) ამონაწერი თავის თავზე გაწვევის სიიდან და 2) პარადობის მოწმობა თავის სურათით. (სდს.)

შინაგან საქმეთა სამინისტროში

განსაკუთრებულ რაზმის უფროსმა კედიამ მიიღო ცნობა, რომ მზადდება წინასწარ ლიტოგრაფიული ქვა ყალბი ფულების სამეჭდავი სტამბისათვის, ამ ცნობის შემდეგ წავიდა თანხლებით თანაშემწის ჩიკვაიძისა და სხვა მოხელეთა და აღმოჩენილი იქნა ლიტოგრაფის ქვა, რომელზედაც იყო გადაღებული და ამოჭრილი ას თუმნიანი. გამზადებელი ქვისა, ვინმე შავი მთელი ორგანიზაციით იქნა დაპატიმრებული და გაგზავნილი საპყრობილეში. საქმე გადაეცა სასამართლოს.

კედიის მიერ დაპატიმრებულ იქნა ნესტორ ფხაკაძე თვალაძის მკვლელობაზე, რომელშიც გამოტყდა.

განსაკუთრებული განკარგულებით დაპატიმრებული იქნა ნიკოლოზ როტინოვი, იოსებ ფირცხალაიშვილი, დავით კვარტალიანი, ხაჩატურიანცი და ვარლამ შენგელია, რომელთაც ბრალდებით ყალბი ფულების გაკეთება. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ რაზმის უფროსის კედიას განკარგულებით დათხოვნილია სამსახურიდან პასუხს გებაში მიცემით ამავე რაზმის თანამშრომლები: გრიგოლ დოლიძე, ექვთიმე კვაშალი და ვასილ ნიჟარაძე სამსახურში ბოროტ მოქმედების ჩადენისათვის (ბრალდებით ქრთამის აღება).

კედიის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნა ტიგრან ათაბეგოვი მძარცველობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

კედიის მიერ მიღებულ ზომებით აღმოჩენილია ამერიკულ საწყობიდან 950 ათასი მანეთის საქონლის გატაცება. რომელიც ბრალდება ბოლახიძე პავლეს, ციბულინ პანტელეიმონს, ნოსოვ ალექსანდრეს და ვასილ სელიაროვს. საქმე ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებით გადაეცა ოლქის სასამართლოს პროკურორს. (სდს)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

გერმანული ცნობები

15 ოქტომბერი.

ზინოვიევი და გერმანია.

კომუნისტური ინტერნაციონალის გერმანული სექცია შეიკრიბა დღეს მიტინგზე ზინოვიევის სიტყვის მოსასმენად. ზინოვიევი ავათმყოფობის გამო მიტინგზე არ გამოცხადებულა. გერმანიის მთავრობამ ზინოვიევს და ლოზოვსკის წინადადება მისცა დასტოვონ გერმანიის საზღვრები.

ზემო სილეზიის გარშემო.

კანცლერმა ფერენბახმა ზემო სილეზიის შესახებ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც იგი არწმუნებს, რომ გერმანიის მთავრობა ამ ჟამად უფრო მეტ ანგარიშს უწევს ზემო სილეზიის თავისებურებას, ვიდრე ამდენხანს უწევდათ: თუ სილეზია პლებისციტით გერმანიასთან დარჩენას გადასწყვეტს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მიიღებს ყველაფერს, რის მიცემაც კი შეიძლება გერმანიის კონსტიტუციის ძალით.

გაფიცვების დასრულება.

საქსონიაში გაფიცვები დასრულდა. დრეზდენისა და ლეიპციგის მუშებმა მუშაობა დაიწყეს.

ლიონის ცნობები

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა. შეადგინეს შემდეგი სხდომის პროგრამა: სხდომა უნდა შესდგეს ბრიუსელში გიმანსის თავმჯდომარეობით. „ტანის" ცნობის თანახმად, განხილულ იქნება პოლონეთ-ლიტვის საკითხი. რომლის შესახებ ორივე მხარე მოხსენებას გააკეთებს. მოსაზღვრე ხაზის საკითხს უკვე იხილავს საგანგებო კომისია. მოისმენენ აგრეთვე ინგლისის პირველ მოხსენებას ალანდის კუნძულების შესახებ. ერთა ლიგის პირველი სხდომა, რომელიც ვილსონის მიერ მოწვეულია ნოემბრის 15 ჟენევაში, ნედლი მასალის მონოპოლიის შესახებ საკითხს აღძრავს. იტალია-სომხეთის შესახებ მოხსენებას გააკეთებს იტალიის წარმომადგენელი. მოხსენებებს გააკეთებენ დანციგისა და სხვა საკითხების შესახებ.

ოსმალეთის ახალი კაბინეთი.

სტამბოლის პრესა ფიქრობს, რომ თევფიკ-ფაშას დაავალებენ ახალი კაბინეთის შედგენას, რადგანაც დამად ფერიდის კაბინეტი გადადგომას აპირებს.

ზემო სილეზიელები პანგერმანისტების წინააღმდეგ.

ზემო სილეზიაში მცხოვრებ პოლონელების დიდი მიტინგი შესდგა, რომელიც 3000 კაცისაგან შესდგებოდა ბერლინში ზემო სილეზიაში მყოფ გერმანელ მშრომელ პირების პროვოკაციის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. ერთ ერთი ორატორთაგანი მიესალმა პოლონეთის ჯარს, რომელმაც იხსნა ევროპა ბოლშევიზმის შემოსევისაგან. დასასრულ მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იგი კიცხავს გერმანიის პოლიტიკას ზემო სილეზიაში და ესალმება პოლონეთისა და საფრანგეთის მოქმედებას.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

გუჩკოვი ყირიმში გაწვეულია.

პარიზი. ა. ი. გუჩკოვმა ერთ-ერთ გაზეთის თანამშრომელს განუცხადა, რომ იგი ვრანგელის მიერ გაწვეულია ყირიმში და რომ ის მზად არის მიიღოს ყოველგვარი წინადადება, რომელსაც კი მას ვრანგელი გაუკეთებს, რადგანაც რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა ყოველგვარ მსხვერპლს მოითხოვს.

მაგარი სასმელების ნაციონალიზაცია.

ლონდონი. ტრედიუნიონების კონგრესზე გააკეთეს დეკლარაცია მაგარი სასმელების ნაციონალიზაციის აუცილებლობის შესახებ.

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

„ტაიმსი" იუწყება: ამ ახლო მომავალში ინგლისი არ ფიქრობს, რომ ბოლშევიკებთან რაიმე შეთანხმება მოახდინოს. ბოლშევიკ დელეგატების ყოფაქცევამ შეუძლებელი გახადა არა თუ პოლიტიკური, სავაჭრო ხელშეკრულების დადებაც კი.

საყოველთაო შრომის ბეგარა.

ბერლინი. გერმანიაში საყოველთაო შრომის ბეგარა შემოიღეს. ყველა პირი, რომელიც არ შრომობს, ბავშვებსა და მოხუცებს გარდა, ვალდებული არის სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებში იმუშაოს: მამაკაცებმა უნდა იმუშაონ ერთ წელიწადს, ქალებმა კი 6 თვეს.

საბჭოთა რუსეთის პრესტიჟი.

ლონდონი. „ტაიმსი" იუწყება: საბჭოთა დელეგაცია, რომელშიც 15 წევრი შედიოდა და რომელიც ევროპის ჩრდილოეთ სახელმწიფოებში მოგზაურობდა, საშინლად დამარცხდა ბერლინში. რუსი დელეგატების ტრაფარეტულ გამოსვლებს მსმენელთა მრავალ რიცხოვან მიტინგებზე სტვენით შეხვდენ. ლოზოვსკის ვრცელმა სიტყვამ რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მდგომარეობის შესახებ გერმანიის დემოკრატიაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. საბჭოთა მთავრობის პრესტიჟი საბოლოოდ დაეცა მას შემდეგ, რაც რუსეთიდან დაბრუნებულმა დრეზდენელმა ანარქისტმა რეხლმა მოხსენება გააკეთა. ამ მოხსენებაში ის ამტკიცებდა, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობას დიდი ხნის სიცოცხლის უნარი არა აქვსო.

შრომის ასოციაციის კონგრესი და რუსი კომუნისტი მუშები.

სტოკჰოლმი. შვედ მემაღაროეთა და შრომის გენერალური ასოციაციის კონგრესმა ხმის დიდი უმრავლესობით უარყო რუს-კომუნისტ მუშებისადმი თანაგრძნობის გამოცხადების წინადადება.

ინგლისის მემაღაროების მოთხოვნილება.

ლონდონი. „ტაიმსი" გადმოგვცემს: ინგლისის ნახშირის მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტს მხარს უჭერს ევროპის უკიდურეს წარმომადგენელთა ხმის მცირე უმეტესობა. ლოიდ ჯორჯმა თანხმობა გამოაცხადა მემაღაროეთა ხელფასის გადიდებაზე იმ პირობით, რომ შრომის ინტენსიფიკაცია მოხდება: ლოიდ-ჯორჯის წინადადებით უნდა შემოიღონ პრემიალური სისტემა, რომელიც მემაღაროეთა კონფერენციამ უარყო. მუშები მოითხოვენ, რომ ყოველ ტონა ნახშირზე მათ ორი შილინგი მიემატოთ.

სამხედრო ცნობები.

სევასტოპოლი. (რადიო) რუსეთის ჯარის გენ. შტაბის ოფიციალური ცნობა: გულიაი-პოლეს სამხრეთით წითლებმა სოფ. ასეროვკა აიღეს. ჩვენი ჯარი მტერს სასტიკ წინააღმდეგობას უწევს. დანარჩენ ადგილებში ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი აქვს. დამატებითი ცნობებით უკანასკნელ დღეებში გულიაი-პოლესა და ალექსანდროვსკის რაიონში წითლები თავს იყრიან.

სევასტოპოლი. ოქტ. 16. (რადიო) მტერმა შესძლო ხელი შეეშალა შეტევის განვითარებისათვის. მე-13 არმიის დამარცხების შემდეგ წითლებმა დაიწყეს ყუბანიდან, ცენტრალურ რუსეთიდან და პოლეგის ნაპირებიდან თავის ნაწილების გადმოსროლა ქვანახშირის რაიონებში. ამავე დროს წითლებმა გაამაგრეს მე 2 და მე 6 ცხენოსანთა ჯარი და ნიკოპოლის რაიონში შეჯგუფდენ. დამარცხებული რაზმი დნეპრზე გადასვლისთვის ემზადება, რათა ალექსანდროვსკში მყოფ ჯარს ზურგიდან მოუაროს. რუსეთის ჯარის რაზმმა, გადავიდა რა მდინარეზე ნიკოპოლის ქვევით, ერთდროული შეტევით დაამარცხა ნიკოპოლში მყოფი წითელი ჯარის ნაწილი, წამოიყვანა 3 ტყვე, ხელთ იგდო 7 ზარბაზანი და მრავალი ტყვიისმფრქვეველი. აზოვის ზღვასა და დნეპრს შორის დამარცხდა წითლების მე-4 დივიზია. წამოყვანილია ათასზე მეტი ტყვე, ხელთ ვიგდეთ 20 მდე ზარბაზანი. წითლები გავდევნეთ ბერდიანსკიდან, ზემო-ტოკმაკიდან და გულიაიპოლიდან. ოქტომ. 13. წითლებმა დაიწყეს დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გადასულ თეთრების შევიწროება. რადგან წითლებს ბევრი ძალა ყავდათ, თეთრები იძულებული შეიქნენ დნეპრზე იქვე უკან გადმოსულიყვნენ. 5. დღის ოპერაციების შემდეგ ხელთ ვიგდეთ 13,500 ტყვე, 27 ზარბაზანი, 1 ჯავშნიანი მატარებელი და 6 ჯავშნიანი ავტომობილი.

ახალი ამბები

ეკონომიური თათბირი. პარასკევს, 22 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე ქალაქ საბჭოს დარბაზში დანიშნულია ეკონომიური თათბირის გაგრძელება. განსაკუთრებული მანდატებით დაესწრებიან შემდეგი პარტიული ორგანიზაციები: საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი, საკონტროლო კომისია, ტფილისის კომიტეტი, ტფილისის რაიონული ს. დ. კოლექტივები, მცირე კოლექტივები, საქ. პროფეს. კავშირთა საბჭოს აღმასრ. კომიტეტში და ტფილისის პროფეს. კავშირების სეკრ. მომუშავე ამხანაგები, დამფ. კრების ს. დ. ფრაქცია, კოოპერატივთა, ქალაქთა და ერობათა კავშირების ცენტრებში მომუშავე ამხანაგები.

◆ **რკინის გზის საავადმყოფო.** გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში შეტანილია პროექტი რკ. გზის საავადმყოფოსთან მშობიარეთა თავშესაფრის დაარსების შესახებ. საკითხი ამის შესახებ წინეთ აღძრული იყო მთავარი სახელოსნოების აღმასრულებელ კომიტეტის მიერ. თავშესაფრის მოსაწყობად გამოთხოვილია 1.505 570 მან.

◆ **შრომის სამინისტროში.** ბათომის ოლქის შრომის კომისარმა შრომის სამინისტროს მიმართა შეკითხვით: 1) რამდენი საათი უნდა იმუშავონ დღეში ბათომის ბოტანიკურ ბაღში და 2) როგორი შრომის ხელფასი არის დაწესებული. შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ ბათომის ბოტანიკურ ბაღში მომუშავეთა მუშებზე უნდა გავრცელდეს 1917 წ. ივნისის 29 დეკრეტი. შრომის ხელფასის შემუშავების დროს უნდა იქნეს მიღებული სახეში საშუალო ხელფასი, რომელიც ბათომის შავ მუშათათვის არის დაწესებული.

◆ **მიწად-მოქმედების სამინისტროში.** მიწად მოქმედების საგარაკო კომისიამ ოქტ. 15 ინახულა წყალტუბოს სამკურნალო წყლები, სადაც იგი გაეცნო წყლების მდგომარეობას. წელს აგარაკი ოქტ. 15 ცხრა ათასამდე ავადმყოფმა მოიარა. ყველა ბინა დაკავებული იყო და ზოგიერთ ავადმყოფს აივანზე და ცას ქვეშ ცხოვრება მოუხდა. ერობის მიერ ვანებზე მინიმალური ფასები იყო დაწესებული. სეზონის ბოლოთი ღირდა 30 მ. ვანა 15—20 მ., ოთახი დღე და ღამეში 40—60 მ, ეს მაშინ როდესაც კერძო ბინებში და სასტუმროებში დღელამის განმავლობაში 300 მ. იღებდენ. ვანების აქ პლანტაციიდან შემოსავალი სეზონის დამლევამდე $1^1/_2$ მილ. მანეთს უდრის.

◆ **ბაზრის ფასები.** ოქტომბრის 19 სავაჭრო სამრეწველო პალატის ცნობით ბაზარზე შემდეგი ფასები არსებობს: ხორცი 80—90 მან. გირვანქა, ცხვრის ხორცი გირ. 110 მან., ქათამი 500 მან., ინდოური 700 მან., ბატი 600 მ., იხვი 260 მან., ხიზალალა გირვანქა 1200 მ., ცოცხალი თევზი 280 მან., კარაქი 450 მან., სამარხო ერბო 400 მან., ყველი 230—280 მან., თეთრი ფქვილი 5600 მან., ფუთი, ადგილობრივი ფუთი 3200 მან., სიმინდის ფქვილი 1800 მან., პური 2500 მან., ადგილობრივი 2400 მან., სიმინდი 900 მან.; წითელი ლობიო 1200 მან., თეთრი 1300 მან., სპარსული ბრინჯი 9500 მან., ჩაქვური ჩაი გირვანქა 700 მან., ცეილონის 550 მან., თაფლი 280 მან., ყავა 550 მან., ხახვი 30 მან., გირვანქა კომბოსტო 400 მანეთი. ნავთი ფუთი 2000 მან., წვრილი თხილი 900 მან.

◆ **ეროვნულ საბჭოთა გაერთიანება.** რუსთა ეროვნულმა საბჭომ სომხების ეროვნულ საბჭოს წარუდგინა მოხსენება საქართველოში არსებულ ყველა ეროვნულ საბჭოს გაერთიანების შესახებ. გაერთიანების საჭიროება დასაბუთებულია მით, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ კანონის მომავალ დამტკიცების შემდეგ დიდდება აუცილებლობა ზოგიერთ საერთო კულტურულ განმანათლებელ საკითხების გადაჭრისა. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არსებული ეროვნული უმცირესობანი შეთანხმებულად იმოქმედებენ. დღიურ წესრიგში სდგას უმაღლესი განათლების საქმე, საჭიროა მცხოვრებთა მუშაობა უმცირესობის თვითმოქმედების გასაძლიერებლად ერობებისა და კოოპერატივების საშუალებით. რუსთა ეროვნულ საბჭოს წინადადება განიხილა სომხეთა ეროვნულმა საბჭომ და პრინციპიალურად მიიღო იგი. აირჩიეს ორი წარმომადგენელი, რომლებიც დანარჩენ საბჭოების წარმომადგენელთან ერთად განიხილავენ ეროვნულ უმცირესობათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად მომავალ სასწავლებლის ტიპის საკითხს.

◆ **დრამის თეატრში.** დღეს, სახელმწიფო დრამის თეატრში პირველად წარმოდგენილი იქნება ცნობილი უკრაინელი პოლიტიკური მოღვაწისა და მწერლის ვინნიჩენკოს პიესა „სიცრუე", დრამა 3 მოქმედებათ; უმთავრეს როლებს ასრულებენ ნ. ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, მ. ქიაურელი.

— კვირას, 24 ოქტომბერს პირველი წარმოდგენაა მუშებისათვის. წარმოდგენილი იქნება განმეორებით „ბუშინგელი".

◆ **სატანვარჯიშო ინსტიტუტი.** ტფილისში სატანვარჯიშო ინსტიტუტი გაიხსნა. ინსტიტუტის დირექტორად ბერელაშვილი დაინიშნა, ინსპექტორად კ. ი. გახეკაძე. ინსტიტუტის კურსი 8 თვეა. სწავლა უფასოა. მეცადინეობა სწარმოებს ყოველ დღე საღამოს $4^1/_2$ საათ. $9^1/_2$ საათამდე. ინსტიტუტი მეორე ვაჟთა გიმნაზიაში არის მოთავსებული.

◆ **ბანკი.** საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნებართვით კონსტანტინოპოლში საქართველოს ცენტრობანკის განყოფილება გაიხსნა: განყოფილება მოთავსებულია გალატაში, რუმინეთის ბანკის გვერდით. მოკლე ხანში ცენტრობანკის აგენტურები გაიხსნება ვარნაში, კონსტანცაში, ტორინტოში და მარსელში. ამასთანავე ბანკის განყოფილებანი იხსნება: ლონდონში, პარიზში და ბერლინში. ბანკის მთავარი გამგეობა და მისი განყოფილება ბათომში ოქტ. 18 დან ყოველგვარ ვალიუტით გზავნის ფულს კონსტანტინოპოლში.

კრებები.

21 ოქტომბერს, ხუთშაბათს, საღ. 5 ს. დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონულ კოლექტივის მორიგი სხდომა. ყველა კოლექტივის და ქვე-კოლექტივის პრეზიდიუმის წევრების დასწრება აუცილებელია.

— დღეს, 21 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია სოც.-დემ. სტუდენტთა კავშირის კრების გაგრძელება.

— დღეს, საღამოს 5 ს. შესდგება მე-3-ე რაიონის ს. დ. მ. პ. კოლექტივის სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 ს. ნემზე მომუშავეთა კავშირის გამგეობა იწვევს საერთო კრებას. წევრების დასწრება აუცილებელია.

— ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს საათის 4-ზე შესდგება მე 7-ეე რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ რაიონში არსებული ყველა პროფ. კავშირის გამგეობები და „ინეიკის" პრეზიდიუმები.

პროვინციის ქრონიკა.

გორი. გორის სამაზრო ერობამ დაადგინა მიიღოს თავის თავზე მიწის რეფორმის გატარების საქმე. იგი შემდეგი პირობებით იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას: 1) სამაზრო ერობა მიწათ-მოქმედების სამინისტროდან იღებს ოფიციალურ რწმუნებას რეფორმის გატარების შესახებ; 2) ადგილობრივი სამიწათმოქმედო განყოფილებები და კომისიები უშუალოდ ექვემდებარებიან სამაზრო ერობას, ამასთანავე ერობა განაგებს მოსამსახურეთა მიღებისა და დათხოვის საქმეს; 3) მოსამსახურეთათვის ჯილდოს მისაცემად ერობა იტოვებს 40% იმ თანხიდან, რომელსაც იგი საფონდო მიწების გაყიდვით აიღებს; 4) ერობების მიერ გაცემულ აქტებს სავალდებულო ხასიათი აქვს; 5) მიწათ-მოქმედების სამინისტრომ სამაზრო ერობას ყოველ ცალკე შემთხვევაში საერთო ხასიათის დირექტივები და დარიგებები უნდა მისცეს. უთანხმოება, რომელიც შესაძლებელია დაიბადოს მიწათ-მოქმედების სამინისტროსა და სამაზრო ერობას შორის რეფორმის გატარების შესახებ უნდა გაარჩიოს მთავრობამ დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობით. (სდს)

შინა-მრეწველობა და სახელმწიფო მონოპოლია

„ერთობის" 231 №-ში მოთავსებული იყო ზედი-ზედ სამი ფრიად საყურადღებო წერილები: ელენტისა, გ. ც—შვილისა და ლ. ესვანჯიასი.

რამდენადაც ჩვენ ვიცით ალ. ელენტი სამონოპოლიო საგნების მომხმარებელთა წრიდან არის და მის აზრს გამოსთქვამს. გ. ც—შვილი და ლ. ესვანჯია კი მწარმოებელთა—მეცხვარეთა და მეთამბაქოეთა წრიდან არიან და ამ უკანასკნელთა აზრს და სურვილებს გამოხატავენ.

ვინ არ იცის, რომ მწარმოებელს და მომხმარებელს შორის ოდითგანვე არსებობდა და არსებობს ერთგვარი ანტაგონიზმი (წინააღმდეგობა), გამოწვეული ბუნებრივი ეგოიზმით, ე. ი. საკუთარი ინტერესებისადმი უპირატესობის მიცემით.

თუ ამ საზომით მივუდგებით ზემოხსენებულ წერილების გარჩევას, მაშინ ადვილი ასახსნელია ის წინააღმდეგობა და ცალმხრივობა, რომელსაც ადგილი აქვს ამ ორი ჯგუფის წარმომადგენელთა წერილებში.

ვინ უნდა იყოს ამ ორი ჯგუფის ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესების შემრიგებელი? ცხადია სახელმწიფო და მისი ორგანოები. და თუ ამ ორგანოებს თავისებურად აკრიტიკებს როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელიც, აქ გასაკვირი არაფერია, ვინაიდან „მდგომარეობა ქმნის შეგნებას".

მოკლედ შევეხოთ მომხმარებლის ალ. ელენტის და მწარმოებელთა—გ. ც—შვილის და ლ. ესვანჯიას წერილებს.

ალ. ელენტი სამართლიანად მოითხოვს, რომ როდესაც ჩვენი ხალხი ტიტველია, ჩვენი მატყლი, გარედ კი არ უნდა გავქონდეს გასაყიდათ (სადაც სხვათა შორის მატყლის ფასი დაცემულია), არამედ უნდა მოვაქსოვოთ შინამრეწველობას და ხალხი შევმოსოთ. რამდენადაც ვიცით, მომარაგების სამინისტრო სწორედ ამ სამართლიან და სახელმწიფოებრივ გზას დაადგა. მისი მიზანია შეძლებისდაგვარად ადგილობრივ დამუშავდეს მაქსიმუმი ჩვენი მატყლისა. ამას მოითხოვს სახელმწიფოს და მისი $2^1/_2$ მილიონი მცხოვრებთა ინტერესები რამდენიმე ათასი მეცხვარეთა წინააღმდეგ.

რაც შეეხება აბრეშუმის შინ სახმარად დაშვებას, ამაში ჩვენ ვერ დაეთანხმებით წერილის ავტორს. აბრეშუმის ქსოვილი უფრო ფუფუნების საგანს წარმოადგენს, და ამიტომ ის, როგორც უფრო ძვირფასი საქონელი, სავალიუტოდ უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ.

გ. ც—შვილი ტიპიური მეცხვარე ჩანს. ყოველ მის გამოთქმულ აზრში გამოსჭვივის მეცხვარის—კერძო მესაკუთრის წვრილი ბურჟუაზიული, გლეხური თვალსაზრისი, რომელიც დაშორებულია ობიექტიურ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს. მას ვერ მოუხერხებია მეცხვარის ფარეხიდან გარედ გამოხედვა და ამით ვხსნით ჩვენ მის ცალმხრივობას. გ. ც—შვილი ხაზგასმით აგვიწერს მეცხვარეთა გაჭირვებას. მაგრამ თუ მხედველობაში არ ავიღებთ მის მიერ მუქი საღებავების ხმარებას ამ სურათის აღწერაში, განა ვინმე ედავება მას? მაგრამ ვეკითხებით ჩვენ მას: ვინ არის დალხინებული დღეს ჩვენში, გარდა ერთი სპეკულიანტების ჯგუფისა? განა ჩვენი ქალაქის მუშა-მოსამსახურეები, რომელთა რიცხვი ათჯერ და ოცჯერ მეტია მეცხვარეებზე, ბევრათ უარეს გაჭირვებას არ განიცდიან? რატომ ამაზე არაფერს არ ამბობს გ. ც—შვილი? მაგრამ ასეთია მდგომარეობისაგან წარმოშობილი ფსიხოლოგია.

ც—შვილი გაკვირვებულია, რომ მთავრობამ მატყლის თვით ღირებულება მხოლოდ 2.000 მანეთი დააწესა. აქ ჩვენ გვინდა შევსწოროთ შეცდომა ზემო აღნიშნულში. მონოპოლიის კანონის თანახმად იყო მოწვეული სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა მატყლის (თვით ღირებულება) ფასი. კომისია შესდგებოდა მომარაგების, მიწად-მოქმედების და ფინანსთა სამინისტროების, ერობათა, ქალაქთა, კოოპერატივთა, მეცხვარეთა და სავაჭრო პალატის წარმომადგენლებისაგან. კომისიის მუშაობა სწარმოებდა ოთხი დღის განმავლობაში. ზოგიერთ კრებებზე ესწრებოდნენ სათათბირო ხმით 12—15 მეცხვარე, და, თუ არ ვცდებით, თვით ამხ. ც—შვილიც.

მეცხვარეთა წარმომადგენლებმა ამ კომისიაში თვითღირებულება მატყლისა მოითხოვეს 2300 მანეთი, რომელსაც თავისებურად ასაბუთებდნენ. დღეს კი ც—შვილი 8—10 ათას მანეთს მოითხოვს. (ალბათ, „მადა ჭამის დროს ვითარდება").

კომისიამ მიიღო მხედველობაში მეცხვარის ხარჯები და აგრეთვე შემოსავალი ხორცის და ყველის სახით და დაამუშავა მატყლის თვითღირებულება 850 მანეთი, მხოლოდ ბონების კურსის ცვალებადობის მიხედვით [illegible] 1000 მანეთი. (იხილეთ კომისიის ოქმები). მთავრობამ, მიიღო რა მეცხვარეთა მდგომარეობა მხედველობაში, ეს ფასი გაადიდა და დანიშნა 2000 მანეთი. აქ მკითხველმა თვით განსაჯოს, თუ რამდენად სამართლიანია ც—შვილის გულისწყრომა, თუ მივიღებთ მხედველობაში საერთო გაჭირვებას. მ. ხ-შვილი ამტკიცებს მეცხვარეთა გაჭირვებას და ამბობს, რომ მეცხვარის მეორე შემოსავალი—ხორცი, მას არას ეხმარება, რადგანაც ყველაზე იაფია. რა-ვიცით 100 მანეთ ნაკლებ ცხვრის ხორცი არ იშოვება და თუ ეს არის იაფი, მაშინ ძვირი რაღა იქნება? ქვევით ავტორი ამბობს: დარჩა მარტო ყველი, რომლითაც 200 სული ცხვრის პატრონს გასაყიდათ 12 ფუთამდე ექნებაო. შენ აგაშენოს ღმერთმა! თუ მივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გვარდიის ყრილობისათვის

ქ. თფილისში, ოქტომბრის 24-ში

მოწვეულია სახ. გვარდიის მეორე ყრილობა

მთავარი შტაბის მიერ ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.
2) მთავარი შტაბის მოხსენება წარსულ მუშაობის შესახებ.
3) მთავარ შტაბის განყოფილებების მოხსენება მათი მუშაობის შესახებ.
4) სახალხო გვარდია, როგორც სამხედრო და სამეურნეო ორგანიზაცია.
5) დისციპლინა და პასუხისმგებლობა სახალხო გვარდიაში.
6) სახალხო გვარდიის ძირითად კანონის გადასინჯვა.
7) ცვლილებების შეტანა სახ. გვარდიის წესდებებში.
8) დამოკიდებულება შტაბებსა და ნაწილების უფროსებს შორის.
9) სახ. გვარდიის შტატების გადასინჯვა.
10) სახ. გვარდიის ფორმა, ნიშნები და აგრეთვე სამხედრო ნიშნები ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.
11) მიმდინარე საკითხები.
12) მთავარი შტაბის არჩევნები.

ყრილობისათვის 150 გვარდიელი ირჩევს ერთ დელეგატს. საარტილერიო ბრიგადა ირჩევს თითო ბატარეიაზე თითო დელეგატს.

ცხენოსანი პოლკი—თითო ასეულზე თითო დელეგატს.

საინჟინერო გუნდი, ტყვიისმფრქვეველი რაზმი, ჯავშნიანი მატარებელი და ავტო-ჯავშნიანი დივიზიონი დელეგატს—თითო.

სახ. გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირი გზავნის 3 დელეგატს სათათბირო ხმით.

ლებთ მხედველობაში დღევანდელ ყველის ფასს 10—12 ათას მანეთს ფუთზე, მაშინ მივიღებთ 120 ათას მანეთს, რომელსაც მიიღებს 200 სული ცხვრის პატრონი, და თუ რამდენს მიიღებს 500 და 1000 ცხვრის პატრონი, ეს თვით ც—შვილმა იანგარიშოს. ვეკითხები ც—შვილს, იღებს თუ არა ამის ნახევარს მაინც ქალაქის მუშა მოსამსახურე, რომელიც წელიწადში ათჯერაც ვერ ეღირსება ცხვრის ხორცს?

ც—შვილს უსამართლობათ მიაჩნია ის, რომ მეცხვარეს 2600 მანეთს აძლევენ, ხოლო მომხმარებელს კი 4000 მანეთად უჯდებაო. რას იტყვის მეცხვარე, როცა მას მატყლი 2600 მანეთად ჩამოართვეს, ხოლო მისი მეზობელი კი 5000 მანეთადაც იხდისო? მოკლედ ვუპასუხებთ ავტორს. მეცხვარე იღებს 2600 მანეთს მთაში ჩაბარებულ მატყლში, დაგროვება, თფილისში გადმოტანა, ბარდნების შეძენა, საწყობების ხარჯი, მუშა ხელი და სხვა ორგანიზაციული ხარჯები 700 მანეთი, მეცხვარეობის ფონდი, რომელიც მეცხვარეებს უნდა მოხმარდეს 130 მანეთი—სულ მივიღებთ 3430 მანეთს. მაშასადამე სახელმწიფოს რჩება ფუთზე 570 მანეთი. ამასთან უნდა შევნიშნოთ ც—შვილს, რომ იმ რაიონებში, სადაც მეცხვარეობას მისდევენ (ეს მან თითონაც კარგად იცის), ასობით რომ დანიშნოს მთავრობამ აქციზის მოხელეები, მყიდველები მაინც ერთიმეორისაგან იყიდიან მატყლს და არა მთავრობისაგან, და რასაკვირველია, რომ მეცხვარე მთავრობის ფასზედ ნაკლებ არ გაჰყიდის ამ ერთგვარ კონტრაბანდას, თუ მეტსაც არ მისცა? ჩვენ ვიცით, რომ სანამ ოფიციალური ფასი გამოცხადდებოდა, მატყლი ჩუმად იყიდებოდა აჭარეთში 8—10 ათას მანეთად, მხოლოდ იმერეთში მისი ფასი 25 ათასამდის აღწევდა. ნუ თუ ც—შვილს უნდა ამნაირი მდგომარეობის ლეგალიზაცია? ფასების გამოცხადების შემდეგ კი ჩუმათ გაყიდული მატყლის ფასი 4000 მანეთზე ჩამოვიდა. რატომ ც—შვილი იმაზედ არაფერს არ მოგვითხრობს, როგორი მდგომარეობა იყო მონოპოლიის შემოღებამდის, როდესაც სტუკენებს, ხითიროვებს, ზორგუნებს და სხვათა მონოპოლია ჰქონდათ? რატომ იმას არ ამბობს, რომ როდესაც მთავრობამ ფასები დაურიგა მეცხვარეებს გაზაფხულზე იალაღში წასასვლელათ, რას ამბობდნენ ეს მეცხვარეები. „ეს ჩვენი მთავრობა ან სულ გამოუცდელია, ან და მართალი ხალხის მთავრობა ყოფილა, თორემ ამდენი ფული, რაში გვაძლევს, როცა ჩვენ მატყლი შემოდგომაზე უნდა ჩავაბაროთო“. (მათ დაურიგდათ 125 მილიონი მანეთი), რათ დაივიწყა ეს ც—შვილმა?

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. მეცხვარეები ორ უმთავრეს კატეგორიათ შეიძლება დაიყოს: წვრილი—200—500 ცხვრის პატრონნი და მსხვილი—1000—3000 ცხვრის პატრონნი. პირველნი შეადგენენ უმრავლესობას, ხოლოდ მეორენი უმცირესობას. მსხვილი მეცხვარეები, ასე რომ ვთქვათ, კაპიტალისტურ მეურნეობას აწარმოებენ დაქირავებული მუშა-მწყემსებით და დიდი კაპიტალით. ისინი დიდათ არაფრით არ განსხვავდებიან სტუკენებისაგან და ხითიროვებისაგან. მათ თვით მონოპოლია, კოოპერატიულ ნიადაგზე დამყარებული, არაფრად ეპიტნავებათ, და თუ მას ებრძვიან იმ ილუზიებით, რომ მონოპოლიის მსხვილ მეცხვარეთა სააქციონერო საზოგადოებათ გადასაქცევათ გამოიყენებენ და თვითონ მოექცევიან ხითიროვ-სტუკენების ადგილას. **ვაფრთხილებთ წვრილ მეცხვარეებს. ამათ მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება და ყოველივე გზით მხარი დაუჭირონ მეცხვარეთა ამხანაგობა—კოოპერატივის განმტკიცებას. ამ საკითხში ჩვენი დემოკრატიული მთავრობა მათთან ერთად იქნება.**

ც—შვილი დეკლარატიულად მოითხოვს: 1) დაუყონებლივ დაუბრუნდეს მეცხვარეს მთელი ის ღირებულება, რომელსაც მომარაგების სამინისტრო თავისთვის იღებსო (570 მანეთი).

რას ფიქრობდა ამხ. ც—შვილი, როდესაც ამას სწერდა? ვის წისქვილზე ასხამს ის წყალს, როდესაც ამნაირ ულტიმატუმს უყენებს მთავრობას? გრძნობს ის, თუ რა მორევში შესტოპა მან, და ამით გადავიდა იმ ფეხრბილ ნიადაგზე, რომელზედაც სდგას ერთი „მემარცხენე“ პარტია თავისი ლოზუნგით: „არავითარი წვლილი სახელმწიფოს, მთავრობამ ყველაფერი მუქთად უნდა მოგვცეს, გაუმარჯოს ბონების საბეჭდავ მანქანასაო“.

შემდეგ ავტორი მოითხოვს საჩქაროდ გამოირკვეს შინაური ბაზრის საჭიროება და დანარჩენი მატყლი საზღვარგარეთ იქნეს გატანილი. ის იმას კი არ ამბობს, როგორც ბ. ელენტე, რომ შინა-მრეწველობას მოვახმაროთ მატყლი, არა ის თავის ჯგუფურ ინტერესების დაკმაყოფილებას მოითხოვს, ის პატარა ჯგუფის მოგებაზე ზრუნავს. აშუქებს რა საქმეს თავისებურად—მეცხვარულად, ც—ლი თავის წერილში სხვათა შორის ამბობს: „მეცხვარეები მონოპოლიის გამტარებელს (იგულისხმე მთავრობა) კეთილად არ მოიხსენიებენო“.

ვურჩევთ ამხ. ც—შვილს, როდესაც ის ასეთ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საგანს ეხება, მეტი ობიექტიური დაკვირვება გამოიჩინოს და მეცხვარის ფარეხის ფსიხოლოგია გადალახოს, თორემ კრილოვის არაკისებური სამსახურს გაუწევს ჩვენს რესპუბლიკას და, მაშასადამე, მისივე მეცხვარეთა ჯგუფსაც.

ლ. ესიანეკიას წერილის შესახებ შემდეგ წერილში. ი. ყ.

თფილისის სასურსათო მდგომარეობა

ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილებამ შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდისათვის პურის გამოცხობის შესახებ მოხსენება დაამზადა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საბჭოს მიერ მუშათა მაგიდასთან შეთანხმებით მიღებულია ზომები პურის ღირსების ერთ დონეზე შენახვისათვის. შეკეთებულია საცრები, შეკეთებულია ახალი ფორმები, და ქერის ფქვილის ორჯერ გაწმენდა არის დაწესებული. მოწვეულია ახლად ჩამოსული სპეციალისტი პურის ცხობაში. საბჭო ყოველივე ზომას იღებს პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. დეფექტებს ქონდა ადგილი, მათ ახლაც აქვთ ადგილი. ამის მიზეზია ბინის სივიწროვე, გამოცდილ და თავის მოვალეობის შეგნებულ თანამშრომელთა ნაკლულოვანება, საერთო მძიმე პირობები, რომელშიაც იმყოფება ამ ჟამად ყოველი წარმოება და ბოლოს ხორბლის ღირსების დაცემა. ყველა ამ დაბრკოლებათა სწრაფი გადალახვა შეუძლებელია. ქალაქის საბჭოს მიერ გამომცხვარ პურის მთავარი ნაკლულოვანება არის მისი სისველე და სიმძიმე. ამ ჟამად საბჭო იღებს კანადის ფქვილის პატარა ნაწილსაც, და ამიტომ შესაძლებელი გახდა ოდნავათ პურის ღირსების გაუმჯობესება. ამ ჟამად პურის შემადგენლობა ასეთია: 40% ქერისა, 50% პურისა და 10% კანადის ფქვილისა. კანადის ფქვილის სიმცირის გამო არც ამ პროპორციის დაცვა ხდება შესაძლებლად ყოველთვის, ხშირად პური ცხვება მხოლოდ ადგილობრივ ქერიდან და პურის ფქვილიდან. პურის ღირსების გასაუმჯობესებლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ორი გამოსავალი: ქერის ფქვილის პროცენტის შემცირება ან პურის სიდიდის შემცირება. პურის სიდიდის შემცირება 3—4 გირვანქამდე გააუმჯობესებდა პურის ღირსებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ფურნეების ნაყოფიერება ორჯერ შემცირდება. არ შეიძლება აგრეთვე ქერის ფქვილის პროცენტის შემცირება. საერთოდ პურის გამოცხობისათვის ძლიერ ძნელი პირობები შეიქნა. ეს პირობები მით უფრო გაძნელებულია, რომ წისქვილები და ფურნეები არ აღმოჩნდნენ ტეხნიკურად მომზადებული შეცვლილ მდგომარეობისათვის. პროფ. კავშირთა საბჭოს მუშათა კომისიამ, რომელმაც საგანგებოდ განიხილა ეს საკითხი, ასეთი დასკვნა გამოიტანა: „უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა შორის არსებობდა განსაზღვრული აზრი, რომელიც მთელ დანაშაულს რამოდენიმე პიროვნებას ახვევდა თავზე. მართალია, დამნაშავენი არიან, მაგრამ უპირველესად ყოვლისა მთავარი დამნაშავე ჩვენი მოუმზადებლობა და ტეხნიკური მოუწყობლობა არის. პირველად ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს შესაფერ ხორბლის ღირსებას“, ყოველ შემთხვევაში პურის ღირსების გასაუმჯობესებლად მიღებულია რიგი ზომებისა: მოხდა ტეხნიკურ ზედამხედველობის გადახალისება, მოეწყო გადატან-გადმოტანა, გასაწმენდი მანქანები შეკეთდა და სხვა. (სდ.)

უცხოეთი

ჩეხო-სლოვაკია.

ფინანსიური საკითხი. სოციალ-დემ. გაზეთის „პრავოლიდუს“ რედაქტორთან საუბრის დროს ფინანსთა მინისტრმა ენგლისმა გააშუქა ჩეხო-სლოვაკიაში ფინანსიური საკითხის მდგომარეობა.

შეიძლება თუ არა ნელ-ნელა აღსდგეს მსოფლიოს ფინანსიური სისტემა, რომელიც დამძიმებულია სამხედრო ვალების აურაცხელი რაოდენობით ისე, რომ არ გამოიწვიოს დიდი არევ-დარევა?

უკიდურეს მემარცხენეთა შორის გაბატონებულია შეხედულება, რომ ომის შემდეგ მოხდება საერთაშორისო ბანკროტობა, რომელსაც ვერც ჩვენი რესპუბლიკა ასცდება, მიწამ ეს იწინასწარმეტყველა თავის შესავალ სიტყვაში მე-3 ინტერნაციონალის კონგრესზე.

ეს ბანკროტობა შეიძლება იყვეს მხოლოდ მძიმე საწარმოო კრიზისის შედეგი. მაგრამ, ზომები, რომლებსაც ღებულობენ წარმოების ხელის შესაწყობათ, იძლევიან საფრთხის თავიდან აცილების შესაძლებლობას. პირველი მოვალეობაა, არ იქმნეს დაშვებული საწყობებში საქონლის შეგროვება. ამიტომაც მე და ჩემი კოლეგები დაბეჯითებით ვარწმუნებთ ჩვენს მწარმოებლებს—გაყიდონ რაც შეიძლება მეტი ნაწარმოები რა ფასადაც იქნება.

რაც შეეხება ჩვენი სახელმწიფოს ფინანსების მდგომარეობას, ის სრულიადაც არ არის ძლიერ ცუდი, მიუხედავათ იმისა, რომ დიდი ვალები გვაქვს. ახლომავალ წელიწადში ჩვენი ბიუჯეტი წონასწორობის მდგომარეობაში იქნება მოყვანილი. ხარჯებს, რომლებიც რამდენიმეთ აღემატება 14 მილიარდს, შეეფარდება შემოსავალი, აგრეთვე 14 მილიარდის რაოდენობით ნავარაუდევი. ჩვენ წარმოვადგენთ განსაკუთრებულ ეკონომიურ ბიუჯეტს, იგი მხოლოთ და მხოლოთ ეხება იმ კაპიტალებს, რომლებიც მოთავსდება მსხვილ წარმოებებში. ეს ეკონომიური ბიუჯეტი არ შეიძლება დაიფაროს გადასახადებით, ამისთვის საჭიროა ავიღოთ სესხი ინგლისში ან ამერიკაში. ამას გარდა, შემოდგომაზე გამოუშვებენ შინაურ სესხს. სესხისაგან მიღებული თანხა აგრეთვე მოხმარდება დიდ სახელმწიფოებრივ წარმოებებს საჭიროებებს.

ჩვენი რკინის გზები და ფოსტა არ აძლევიან დეფიციტს. გადასახადების წყაროების უფრო სავსებით გამოსაყენებლად ჩვენ ვიწყებთ ფინანსურ ადმინისტრაციის ძირითად რეფორმას. სახელმწიფო მოსამსახურეთა ნაკლებობას განიცდის იმის გამო, რომ ის ვერ აძლევს მათ იმდენ ჯამაგირებს, როგორსაც კერძო დაწესებულებებში. ყოველ ოლქში შეიქმნება სამსახურის დარგი, რომელშიაც შეერთებული იქნება გადასახადების აწერა და გადასახადების აკრეფა.

კანონ-პროექტს მუნიციპალურ დაწესებულებების შესახებ წარმოვადგენთ შემოდგომაზე. ბინის გადასახადიდან შემოსავლის ნაწილი, მომავალ წლიდან გადაეცემა მუნიციპალიტეტებს. შემოდგომაზედვე აგრეთვე წარმოდგენილი იქნება კანონ-პროექტი მემკვიდრეობაზე გადასახადის შესახებ. ამ გადასახადიდან შემოსავლის ნახევარი მოხმარებელი იქნება სახელმწიფოს მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; მეორე ნახევარმა უნდა შესცვალოს ნახშირზე გადასახადის შემოსავალი.

სამხედრო სესხების გადასახადის საკითხი ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ იხსნება. ჩვენთან ეს სხვანაირათა სდგას, ვიდრე საფრანგეთში. ჩვენ არა ვართ დაინტერესებულნი ჩვენი კრონის კურსის ძალიან დიდ აწევაში.

ჩვენი პროცენტულ ვალები აწევენ რამოდენიმე მილიარდს, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ციფრები, რომლებიც გამოხატავენ ნივთების ღირებულებას, რვაჯერ გაიზარდა,—მაშინ ჩვენი დავალიანების ციფრი არ შეიძლება მეტად მაღალი გვეჩვენოს. თუ კი ჩვენი კრონა თავის ნორმალურ კურსს დაუბრუნდება—მაშინ ჩვენი დავალიანება რვაჯერ გაიზრდება. ჩვენ ამიტომაც სრულიადაც არა ვართ დაინტერესებულნი, რომ ხელოვნურათ ავწიოთ ჩვენი ფულის კურსი. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ ის უფრო მკვიდრი გახდეს.

ჩვენ მუშათა კლასი სამხედრო მოგებათა კონფისკაციას მოითხოვს. ამავე დროს, ქონებაზე გადასახადის შეკრება უკვე იწყობა; შემოსავლის მიხედვით გადასახადი მომატებულია, ხოლო მოქმედება სამხედრო შემოსავალზე გადასახადის შესახებ კანონისა განგრძობილია. კანონი ქონებაზე გადასახადისა მეტად მკაცრია. მრავალმა საწარმოო დაწესებულებებმა უნდა გადაიხადონ ათეულ მილიონობით გადასახადი. რომ ამ გადასახადის ვალებმა არ გამოიწვიოს ამ წარმოებების მდგომარეობაში არევ-დარევა, ამიტომ განზრახულია გადასახადს მიეცეს ფორმა სახელმწიფოს მონაწილეობისა საქმეთა წარმოებაში და წარმოებათა მოგებაში. აქციონერულ საზოგადოებათა მიმართ ეს გამოიხატება აქციების ნაწილის სახელმწიფოს ხელში გადაცემაში. ამ გზით ჩვენ აგრეთვე ხელს შეუშლით წარმოებებს ასწიონ თავის ნაწარმოებებზე ფასები იმ მიზნით, რომ გადასახადი მომხმარებლის მხარეზე გადმოდონ.

შემოსავლის კვალობაზე გადასახადი შეადგენს შემოსავლის თითქმის მესამედ ნაწილს (ნახევარ მილიონიან შემოსავლიდან ღებულობენ—121000 კრ., ერთ მილიონიდან—274000 კრ., 3 მილიონიდან—915000 კ.). სამხედრო შემოსავალზედაც ვიღებთ გადასახადს. შემოსავლის კვალობაზე და სამხედრო მოგებაზე გადასახადები ექსპორტისაგან მიღებულ დიდ მოგებებს სამ მესამედით ამცირებენ.

პატიმრების მუშაობა

იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა კანონ-პროექტი ტუსაღთა სწავლა-განათლების და სამუშაოს მიწყობის შესახებ. კანონ პროექტის მთავარი პრინციპია—დამნაშავეთა გამოსწორება—სწავლა-განათლების მიცემით, ხელობის შესწავლით და შრომის შეჩვევით. სამუშაოს ექნება მიქცეული კანონ-პროექტის ძალით განსაკუთრებული ყურადღება: ამ მიზნით არსდება სახელოსნოები საპყრობილეებში და აგრეთვე იწყობა სამუშაოები ციხის გარეთ. ხელფასი მიეცემა ტუსაღებს თითქმის ნორმალური. ამ ხელფასის ნაწილი წავა მომუშავეთა სახარჯოთ და სამუშაოების მოსაწყობად, დანარჩენი ნაწილი კი შეინახება მათ და მიეცემათ ციხიდან განთავისუფლების შემდეგ. პატიოსან შრომისათვის დატუსაღებულთ ეძლევათ შეღავათი ვადის 1/4—1/6 მდე შემცირებით იმის გარდა, რაც წინაწარ განთავისუფლების კანონით არის მიღებული. (სდ.)

ქალაქის საბჭოში

ორშაბათს, ოქტ. 18. ა. მდივნის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა. სხდომის გახსნის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ რამდენიმე სიტყვით მოიხსენია პეტროგრადში ეხლახან გარდაცვალებული ქალაქის თავის ყოფილი ამხანაგი არგუტინსკი-დოლგორუკოვი. გარდაცვალებულს პატივი სცეს ფეხზე ადგომით. შემდეგ საბჭომ დაადგინა განახლოს იმ სახლის მეპატრონეებთან საიჯარო ხელშეკრულება, რომელთაც აშენებული აქვთ სახლები ქალაქის მიწაზე ნაძალადევში საიჯარო ფასის 900 მ. გადიდებით, რაც ქალაქის შემოსავალს წელიწადში 2 მილიონი მ. ნ. გაადიდებს. ქალაქის სასურსათო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სასურ. განყ. გამგემ კ. ა. ფანიევმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პურის ცუდი გამოცხობის მიზეზი უმთავრესათ იყო, ის, რომ მომარაგების სამინისტრომ შესწყვიტა კანადის და საერთოთ საზღვარ-გარეთის ხორბლის მოწოდება, რომელიც მათ უკვე აღარ აქვთ. გვაძლევენ ადგილობრივ ხორბალს და ცუდ ქერს, ამას გარდა თფილისის წისქვილები არ იყო მოწყობილი ამ დიდი რაოდენობის ფქვილის დასაფქვავათ. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თვითმართველობამ ყოველივე ზომა მიიღო პურის გასაუმჯობესებლად და ხორბლის დაფქვაზე მეთვალყურეობა გაუმჯობესებულია, დასასრულ ფანიევმა აღნიშნა, რომ სურსათის საქმეში დეფექტები იყო რა საკვირველია, მაგრამ იგი გამოწვეული იყო იმ მძიმე მდგომარეობით, რომელშიც საბჭოს მუშაობა უხდება. ამ მოხსენების შესახებ კამათი და რეზოლიუციაზე თათბირი შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან

16 ოქტ. დამფ. კრების წევრის ს. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით შესდგა: კანონების გადამსინჯავ კომისიის კრება. სხდომას დაესწრნენ: სხვადასხვა სარწმუნოების და ეროვნულ საბჭოთა წარმომადგენლები. განიხილეს საკითხი ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. კანონ-პროექტით წინადადებულია: 1) უზრუნველყოფა რესპუბლიკის მიერ რწმენის თავისუფლებისა და სარწმუნოებრივ ღვთისმსახურების თავისუფლად წარმოებისა. პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებით სარგებლობა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ სარწმუნოებას ეკუთვნის ესა თუ ის პირი, და არავის არ შეიძლება იდევნებოდის თავის რელიგიურ შეხედულებისთვის; 2) რესპუბლიკა არ შეარჩენს და არ აძლევს ჯილდოსა და სუბსიდიას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი არც ერთი სარწმუნოების მსახურთ, და უკანასკნელთა უზრუნველყოფას და აგრეთვე სასულიერო დაწესებულებათ მორწმუნეთ ანდობს; 3) მართლ მადიდებელ ეკლესიას, ისე, როგორც სხვას, ეძლევა უფლება თავისუფალი თვითმოწყობისა; 4) არც ერთ სასულიერო დაწესებულებას არ აქვს უფლება არ შეიძინოს უძრავი ქონება კერძო საკუთრებად; 5) უძრავი ქონება, რომელიც სასულიერო დაწესებულებათა ხელშია, სახელმწიფოს საკუთრებაში გადადის; 6) განათლების მინისტრს ევალება შეადგინოს სია საეკლესიო ქონებისა, რომელსაც აქვს ისტორიული და მხატვრული ღირებულება, და რომელიც სახელმწიფოს პირდაპირ გამგებლობაში უნდა გადავიდეს; 7) არსდება რა თავისუფლება სარწმუნოებრივი პროპაგანდისა, რესპუბლიკა კრძალავს სასწავლებლებში სამღთო სჯულის სწავლებას; 8) ცერემონიები, პროცესიები და კულტის სხვა გარეშე გამოხატულებანი წესრიგდება ქალაქთა და ერობათა თვითმართველობების მიერ. ამ პროექტის განხილვამ ცხარე კამათი გამოიწვია. კამათის გაგრძელება დაინიშნა შემდეგი სხდომისათვის, რომელიც ოთხშაბათს შესდგება. (სდ).

საზოგადოების საყურადღებოთ

მიმდინარე წლის ენკენისთვის 2-ს გარდაიცვალა ყველასათვის კარგად ცნობილი, საზოგადო მოღვაწე და იშვიათი მამულიშვილი ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი.

იურიდიული ცოდნით აღჭურვილი, ჯერ ახალგაზრდა მომრიგებელი მოსამართლე, დიდი ადგილ მამულის პატრონი, ილია გამოდის საზოგადო ასპარეზზე სამუშაოდ სწორედ იმ დროს, როცა მის წრის შეძლებული ახალგაზრდობა სრულიად არ ფიქრობს ხალხის კეთილდღეობაზე. იმ დროს, როდესაც თვითმპყრობელი მეფის ადგილობრივი მთავრობა ხელოვნურ პირობებს ჰქმნიდა ქართული ენის სკოლიდან განსადევნად და საგანგებოდ რუსეთიდან მოწვეულ „ჩინოვნიკების“, ამ ნამდვილი ჯალათების, საშუალებით სულს უხუთავდა ყოველივე ეროვნულს,—განსვენებული ილია საძირკველს უყრის პირველს და მასთან სამაგალითო გეგმით აგებულს ეროვნულ სკოლას, რომელსაც სწირავს მთელ თავის ქონებას, თავისუფალ დროს, ცოდნა-გამოცდილებას და უნარს: 32 წლის განმავლობაში იგი ნამდვილი მამის მსგავსად თავს დასტრიალებს საყვარელ სკოლას და ხელმძღვანელობას უწევს მას.

გულწრფელი და უანგარო მოღვაწის შრომა ჯეროვანი ნაყოფითაც დაჯვირგვინდა: წინამძღვრიანთ კარის სკოლას არა ერთი და ორი პრაქტიკული მოღვაწე მიუცია მშობელ ერისთვის.

მუდმივი შრომითა და მოღვაწეობით დაღლილი ილია მოხუცებულობის ჟამს საყვარელ სკოლას შენობით და მთელის ინვენტარით, რომლის ღირებულება ამ ჟამად მილიონობით განისაზღვრება, სახელმწიფოს სწირავს.

საზოგადოების წარმომადგენელთა კრების მიერ არჩეულმა კომიტეტმა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა განსვენებულის ნეშტის დაკრძალვის საქმის მოწესრიგება, გადასწყვიტა ამ ხალხში სასოფლო სამეურნეო ცოდნის გავრცელების მესვეურის და თავდადებულ მოღვაწის ხსოვნის აღსანიშნავად დაარსოს განსვენებულის სახელობის სპეციალური ფონდი, რომლის დანიშნულების საბოლოოდ გამორკვევა მოხდება საგანგებო კრებაზე.

კომიტეტი მიმართავს მოწოდებით კერძო პირთ, ბანკებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გაიღონ თავიანთი წვლილი ილიას სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

შემოწირვა შეიძლება შემდეგი მისამართით: ნინოშვილის ქ., № 5, ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება; ზ. ბილანიშვილს.

კომიტეტის თავმჯდომარე—წარმომადგენელი ქართულ და კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა ს. ნ. ყაზახაშვილი.

კომიტეტის წევრნი: წარმომადგენელი სახალხო განათლების სამინისტროსი ა. მიქაბერიძე, წარმომადგენელი მიწათმოქმედების სამინისტროსი თ. მევრეღლიშვილი, წარმომადგენელი წ-კ გამავრცელებელ საზოგადოებისა და მასწავლებელთა კავშირის ბიუროსი ვ. ბურჯანაძე, წარმომადგენელი კულტურ.-ტეხნიკურ სასწავლებლისა ი. ვ. გამყრელიძე, წარმომადგენელი ცენტრო-ბანკისა პ. ა. გოთუა, წარმომადგენელი წინამძღვრიანთკარის სკოლის ნამოწაფარი მ. მამულაშვილი.

მდივანი კომიტეტისა—წარმომადგენლი მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობათა საბჭოსი გ. წინამძღვრიშვილი.

საერთო განათლების კურსები ქუთაისში

ქუთაისში ამ ჟამათ არსებობს ორი საერთო განათლების კურსები. პირველი: მხეიძის ხელმძღვანელობით, და მეორე: მასწავლებელთა კოლეგიის, მიხაკო ჩიჩინაძის მეთაურობით. დანიშნულება ასეთი კურსებისა ფრიად დიდ მნიშვნელოვანია. ვინ არ იცის თუ რამდენი ნიჭიერნი და სწავლა განათლების ენერგიული მოსურნე ახალგაზრდები არიან დღეს სწავლის გარეშე ჩვენს რესპუბლიკაში, რომელთაც თავის დროზე სიღარიბის თუ სხვადასხვა დაბრკოლებების გამო, სწავლა ვერ განაგრძეს, და საერთო განათლებას მოკლებულნი შეიქმნენ. დროთა ვითარებამ და ცხოვრების პირობებმა, რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლება ბევრ მათგანს გამოუცვალოს მდგომარეობა და მისცეს საშუალება კვლავ დაუბრუნდეს მის წინანდელ მისწრაფებებს და გაარღვიოს ის შავი კედელი, რომელიც მას გზას უკრავდა ამ მისწრაფების და ცოდნათა, სალაროს გაფართოებისაკენ.

ამ მხრით დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საერთო განათლების კურსებს. აქ თავი მოუყრია ბევრ ისეთ ახალგაზრდობას, რომელთაც წლოვანება არ აძლევდა საშუალებას გიმნაზიებში შესულიყვნენ. ასეთ პირებს კურსები, საშუალებას აძლევს გაორკეცებულ ენერგიულ მეცადინეობით, ორი წლის გიმნაზიის კურსი ერთ წელიწადს ჩააბაროს ამავე კურსებზე სახელმწიფოს მიერ დანიშნულ დეპუტატის თანდასწრებით.

კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდეს განათლების სამინისტრო ხალხისათვის ასეთ მნიშვნელოვან კურსებს და ხელს შეუწყობდეს მის არსებობას რაიმე დახმარების წყაროს აღმოჩენით. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამ კურსების ხელმძღვანელ მასწავლებლების ენერგიული შრომა. მაგრამ ერთ რამეს მაინც უნდა მივაქციოთ მათი ყურადღება. მსმენელების მიღების დროს ავიწყდებათ, რომ ეს კურსები მხოლოდ მოზრდილთათვისაა, და არა მოზარდი მოწაფეთათვის, რომელთა მიღება ყოველ დღე სწარმოებს და რომელთა აღზრდა და განვითარება უფრო სამართლიანი იქნებოდა გიმნაზიებში. **მელ. არჯ.**

ვალიუტის შესახებ

როგორც გაზეთებიდან გვიგეთ, სავალიუტო კომიტეტს ნება დაურთავს 11 საკრედიტო დაწესებულებისთვის აწარმოონ სავალიუტო ოპერაციები. მათ რიცხვში შედის თფილისში არსებულ ყველა კერძო კომერციული ბანკები და ერთიც კოოპერატიული ბანკი.

გაზეთებიდანვე ვტყობილობთ, რომ სავალიუტო კომიტეტის მიერ არავითარი კურსი არ არის დაწესებული უცხო ვალიუტაზე. ბანკებს, რომლებთაც უფლება აქვთ სავალიუტო ოპერაციის წარმოებისა, შეუძლიათ აწარმოონ აღნიშნული ოპერაციები ან თავისი ანგარიშით, ან საკომისიოთ.

ამ ერთი თვის, თუ თვე ნახევრის წინეთ ჩვენ მოწამე ვიყავით ჩვენი ბონების კურსის სწრაფი და საშინელი დაცემისა და უცხო ვალიუტის განსაკუთრებით კი ინგლისური გირვანქების კურსის აწევისა. სულ რაღაც ორი კვირის განმავლობაში გირვანქა სტერლინგი 1700—2000 მანეთიდან 6000 მანეთამდის ავიდა. ამან, რა თქმა უნდა, შესაფერი გავლენა მოახდინა ბაზარზედ. ყოველგვარი საქონელი ერთი ორათ და სამათ გაძვირდა. და რომ მთავრობას არ მიეღო სწრაფი და სასტიკი ზომები სპეკულიანტების წინააღმდეგ, სიძვირე კატასტროფიული გახდებოდა.

მთავრობამ დახურა სახბანკო კანტორები, რომლებიც სპეკულიაციის ბუდეთ ითვლებოდენ, დაატუსაღა ბევრი სპეკულიანტი, და დაარსა ვალიუტის მოსაწესრიგებლათ ევრეთ წოდებული სავალიუტო კომიტეტი ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით.

გვეგონა, რომ სავალიუტო კომიტეტი მართლაც შეიტანდა რაიმე ცვლილებას უცხო ვალიუტის ტრიალის საქმეში და შეასუსტებდა მით სპეკულიაციას.

ჩვენ ვიცით, რომ ბონების კურსის დაცემას ღრმა ეკონომიური მიზეზები აქვს. ბონების კურსის სიმაღლე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი არის ჩვენი სახელმწიფო ბალანსი: სანამ ჩვენი სამშობლოს წარმოება არ მისცემს უცხო ბაზარს იმდენ ნაწარმოებს, რამდენიც დაახლოვებით უცხო ქვეყნის ნაწარმოები შემოდის ჩვენს ბაზარზე და რამდენადაც ჩვენი იმპორტი, ანუ უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის რაოდენობა, მეტია ჩვენს ექსპორტზე, ანუ გატანილ საქონლის რაოდენობაზე, იმდენათ უცხო ვალიუტის მოთხოვნილება ჩვენს ბაზარზე მეტია, იმდენათ მაღლა იწევს მისი კურსი.

მაგრამ, მიუხედავათ ამ ეკონომიური მიზეზებისა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ჩვენი ბონების კურსის დაცემაში სპეკულიაციაც დიდ როლს თამაშობს.

საბანკო კანტორები, რომელთა რიცხვი უკანასკნელ დროს გაიზარდა, და ზოგიერთი კერძო ბანკებიც სპეკულიაციის ბუდეთ გადაიქცნენ.

ბანკებისათვის სავალიუტო ოპერაციის წარმოება დიდათ სასარგებლო და მოსაგებიან ოპერაციათ ითვლება. ბანკი, რომელიც ყიდულობს, ან საკომისიოთ იღებს უცხო ვალიუტას, დაინტერესებულია, რაც შეიძლება ძვირათ გაყიდოს ის.

ამიტომ, როდესაც ასეთ ბანკებს აქვთ უფლება ვალიუტით ვაჭრობისა, არ შეიძლება მათმა მოგების სურვილმა საერთო ეკონომიურ მიზეზებთან ერთად ხელი არ შეუწყოს უცხო ვალიუტის კურსის აწევას. და ეს მით უმეტეს, როდესაც სავალიუტო კომიტეტი არ აწესებს მაგარ კურსს უცხო ვალიუტაზე.

არავითარი სახელმწიფოებრივი ინტერესები არ მოითხოვდა, რომ თფილისის ყველა კერძო ბანკებს თავის უფლება მიეცათ ვალიუტით ვაჭრობისა. ეს საქმე სავსებით უნდა ეღო თავის ხელში სახელმწიფო ბანკს, რომელიც არ არის დაინტერესებული მოგებით და უნდა ზრუნავდეს უმთავრესად ჩვენი ვალიუტის გამაგრებაზე.

რით განირჩევა ერთმანეთისაგან ის, რაც იყო ამ ერთი თვის წინეთ და ის რაც დღეს არის? მე მგონია არაფრით. სავალიუტო კომიტეტმა აუკრძალა კერძო პირთ უცხო ვალიუტით ვაჭრობა, მაგრამ ეს უფლება დაუტოვა კერძო ბანკებს. და ის სპეკულიანტები, რომლებიც წინეთ დამოუკიდებლათ გამოდიოდენ ბირჟაზე, დღეს ბანკებს შეეფარებიან თავს და ბანკების საშვალებით განაგრძობენ ჩვენი რესპუბლიკის საზიანო მუშაობას. **ახლობელი.**

სახალხო გვარდიის ყრილობის გამო

ყრილობის დღიურ წეს-რიგს ჩვენი ამხანაგები რამოდენიმეთ მაინც იცნობენ. ეს მეორე ყრილობაა ჩვენი გვარდიის ცხოვრებაში და, მაშასადამე, ის სერიოზული საკითხები, რომელსაც გაარჩევს ყრილობა, გამომდინარეობენ სამი წლის პრაქტიკიდან. წარსული სარკეა მომავლისა და ეს სარკე ბევრს ისეთ რამეებს გვიჩვენებს გვარდიის ცხოვრებიდგან, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ადგილი მიეცეს ამ ყველასთვის საამაყო ორგანიზაციაში. თუ სადმე არსებობს სუსტი კანტროლი ჩვენს მოღვაწეთა მოქმედებაში, ეს უფრო ითქმის ყველაზე მეტად სახალხო გვარდიაში, რომელი ორგანიზაციაც კი გინდათ აიღოთ თქვენ პოლიტიკურია ეს თუ საზოგადოებრივი, ყველას ჰყავს ადგილობრივათ საკანტროლო ორგანოები, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებენ ყველა მათდამი დაქვემდებარებულ ორგანოების ნაბიჯებს. გვარდიის ორგანოებში კი ამისი ჩანასახიც არ არის. შეიძლება გვითხრან, რომ მთავარი შტაბია მოვალე კონტროლი გაუწიოს თავის სამაზრო და რაიონულ შტაბებსო,—მაგრამ უნდა მოგახსენოთ რომ ტეხნიკურად შეუძლებელია ამის განხორციელება. შეიძლება მთავარმა შტაბმა დანიშნოს თავისი რევიზია წლის განმავლობაში ერთხელ ან ორჯერ, მაგრამ ეს ყველაფერი მოხდება,—კანცელიარიის ან საწყობების გასინჯვით—ადგილობრივ აზრს, ამხანაგების შეხედულების გაცნობას კი არავინ არ დაგიდევს და არც არავის აინტერესებს. შესაძლებელია გარეგნული შეხედულება ამა თუ იმ შტაბის ფერუმარილ წაცხებული იყვეს, მაგრამ თუ მის შინაარსს დაახლოვებით გაეცნობით დაინახავთ, რომ გარეგნობა გაცილებით, მაღლა დგას შინაარსზე—თუ ვინცობაა ადგილობრივმა ამხანაგებმა მიაქციეს ამას თავისი ყურადღება, მათ საშვალება ერთმევათ რევიზიის სახით გამოარკვიონ სინამდვილე—რადგან არა ერთხელ თქმულა ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოსაგან: სახელმწიფო დაწესებულებები ნუ ერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახუროთ-მოძღვრო სამებელო ფაბრიკა (ფირმა არსებობს 1909 წ.)
იოანნე იოსების ძე ფიცხელაურისა
აცხადებს პატარძეულელებს, საგარეჯოს, ნინოწმინდის, ალბულახის, ბერიუბანის, სართიჭალის, მუღანლოს და ხაშმელებს, რომ თფილისიდან გამოიგზავნა ს. პატარძეულში მრავალი მებელი; სამხითო შკაფები, ცამოდები, უჟიანი ოფისი ტახტები, მაგიდები (სტოლები) შენობისთვის კარები., ფანჯრები, სრულიად მომზადებული შეღებილი და მრავალი სხვა რამ.
„ყველაფერი იყიდება უფრო იაფათ ვიდრე თფილისში“
ფაბრიკის განყოფილების კანტორაში მიიღება ყოველნაირი დაკვეთა: მებელის გაკეთება, შენობის აშენება და გადაკეთება, აგრეთვე ვქსოვთ მკვიდრათ და სუფთად ყოველნაირ ჩალის სკამებს. დანაკვეთი მზადდება ხმელი და დარჩეული მასალიდან, თავის დროზე, მკვიდრათ და სუფთად. საგანგებო საქმეებს ასრულებენ სოციალისტი ხელოსნები და ინჟინრები. მისამართი ს. პატარძეული „პატარა კახეთის“ კოოპერატივის ახლოს, ი. ი. ფიცხელაური. მთავარი სამებელო ფაბრიკა და კანტორა: თფილისი, პეტრე-დიდის ქ. № 32, 3 უბანი. ი. ი. ფიცხელაური. (3382—1—1)

ვითო—ამ არა ნორმალურ მოვლენას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს. ადგილობრივ გვარდიის ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ უფლება იყოლიონ სარევიზიო კომისიები, რომლებიც მუდმივ კონტროლს გაუწევენ ადგილობრივ შტაბების ყოველგვარ ნაბიჯებს რითაც საშვალება მოესპობათ შტაბების ზოგიერთ ხელმძღვანელთ გადასდგან ისეთი ნაბიჯები, რომლითაც შეუძლიათ დიდი ზიანი მიაყენონ გვარდიის მიზან დანიშნულებას.

ჩემის ღრმა რწმენით ეს საკითხი ყრილობამ უნდა დასვას დღიურ წეს-რიგში და გადასჭრას ის არსებითად.

მ. მარიამიძე.

სახალხო გვარდიაში

სამტრედია. სია იმ გვარდიელთა, რომლებიც გაძევებული არიან სამტრედიის საოლქო შტაბიდან ყაჩაღობაში და ქურდობაში შემჩნევის გამო.

1) მენაბდე ნიკოლოზ პავლეს ძე, 2) ნიკურაძე ისააკი სამუელის ძე, 3) რუხაძე ალექსანდრე იოსების ძე, 4) ჯულაყიძე კირილე არტემის ძე, 5) ქახრაკია კოსტა გიორგის ძე, 6) ქახრაკია მიხა გიორგის ძე, 7) ადეიშვილი ივანე ვასილის ძე, 8) ცინცაძე ალფეზ პავლეს ძე, 9) კაცაძე ბიქტორ ათანასეს ძე, 10) გვენეტაძე შალვა ზაქარიას ძე.

სია იმ გვარდიელთა, რომლებიც გაძევებული არიან სამტრედიის საოლქო შტაბიდან, როგორც პოლიტიკურად არა საიმედონი.

1) ოდილავაძე კოლია ამბაკოს ძე, 2) ტერელაძე ნიკოლოზ ალექსის ძე, 3) შენგელია აბიბო ალექსის ძე, 4) შენგელია გრიგოლ ბესარიონის ძე, 5) შენგელია იოსებ ტიმოთეს ძე, 6) ზ მაარაძე სევერიანე დიანოზის ძე, 7) გოგოძე იოსებ დარისპანის ძე, 8) ცინცაძე კირილე ბესარიონის ძე, 9) დვალიშვილი პარმენ ტიმოთეს ძე, 10) ჩახუნაშვილი გიორგი მელიტონის ძე, 11) ახობაძე ნესტორ, 12) ფოცხვერია მელარიონ, 13) ცხვარაძე კალისტრატე სერგიას ძე, 14) ხურციძე ვასილ გიგოს ძე, 15) ლეჟავა ევგენი თეოფანეს ძე, 16, აბვლაძე ემელიანე ივლიანეს ძე, 17) კაკაბიძე სიმონ კონსტანტინეს ძე, 18) ქვანია აპალონ, 19) ქვანია მიხეილ, 20) კოპალეიშვილი ისააკ.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 6 ღვინობისთვეს საღამოს ექვს საათზე შესდგა ტრამვაის მცირე კოლექტივის და სექციების შეერთებული კრება. დაესწრო 27 კაცი. დღიურ წესრიგში იდგა კითხვა: გაფიცვა პარკში. კრება ვრცლად შეეხო ამ კითხვას, და გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

გაფიცვა იყო უადგილო შეცდომა, ამიტომ პარტიის წევრებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა გაფიცვაში, ეცხადებათ საყვედური, შემდეგში ასეთ გამოსვლაში მონაწილეობის მიმღებ წევრის საკითხის წესის შემუშავება ევალება ქვეკოლექტივს. კრებამ იქონია აგრეთვე პრემიის შესახებ მსჯელობა. ყველამ უდაოთ სცნო ის ჭეშმარიტება, რომ დღითი-დღე ეკლდება ვაგონების რიცხვი და წარმოება კატასტროფისაკენ მიექანება, რომ ეს კითხვა სათანადოთ გამორკვეულიყო, რომ ამ მტკივან ადგილს მალამო დადებოდა, დაადგინა: კავშირის მიერ იქნეს მოწვეული ცენტრის და პარკის სექციის წარმომადგენლები ადმინისტრაციასთან ერთად მოსალაპარაკებლათ.

რ. ნიკორზღველი.

საჩხერე (შორ. მაზ.). 27 სექტემბერს ადგილობრივ კოლექტივში შესდგა საჩხერის რაიონის ს. დ. კოლექტივის მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობდა ამხ. არქიფო ბეტონიძე. კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) ვასილ კაპანაძის განცხადება, 2) ივანე ყაზაროვის პარტიის წევრობიდან გარიცხვა, 3) არმენ მღებროვის შესახებ, 4) გვარდიელ მოდებაძის საქმე, 5) კოლექტივის ინვენტარის თაობაზე, 6) მიმდინარე კითხვები.

ვასილ კაპანაძე საჩხერის თემის გამგეობის თავმჯდომარე კრებას აცნობს, რომ მას ავადმყოფობისა გამო შეუძლებლათ მიაჩნია დარჩეს თემის თავმჯდომარეთ, კრება იზიარებს მის წამოყენებულ საბუთებს და ადგენს, მის მაგიერ ფილიმონ ჩიქვილაძეს კანდიდატურა წამოაყენონ. მეორე საკითხის შესახებ კრებამ მოისმინა რა ქუმბურიძის მოხსენება ივანე ლაზაროვის მოქმედების შესახებ, დაადგინა: გამორიცხონ ის პარტიიდან. მესამე საკითხის შესახებ, მოხსენებას აკეთებს ქუმბურიძე, რომელიც შეეხო პარმენ მღებროვის შემოტანილ განცხადებას, რომ პარტიამ დანიშნოს საგამომძიებლო კომისია მის და კოოპერატივის შორის მომხდარ ინციდენტის გამოსარკვევათ. კრება იზიარებს ამ წინადადებას და ირჩევს საგამომძიებლო კომისიას, რომელშიაც შედიან, დავით გძელიძე, არქიფო ბეტონიძე და შალიკო გოდაბრელიძე.

გადაწყდა გვარდიელ ლავრენტი მოდებაძის საქმე ეცნობოს თფილისის ორგანიზაციას. კოლექტივის ინვენტარის შესახებ კრებამ დაავალა დავით გძელიძეს და გრიშა გაფრინდაშვილს შეიძინონ კოლექტივისათვის ინვენტარი.

დასასრულ გაირჩა სხვადასხვა მიმდინარე კითხვები.

შალიკო ხვადაბუნელი.

სამტრედია. 5 ოქტომბერს ადგილობრივ მუშათა კლუბში მოწვეული იყო სამტრედიის რაიონის რკ. გზის კოლექტივის წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ო. წულაია, მდივნათ პ. ჯიბლაძე. დღის წესრიგში იდგა: 1. მოხსენება კოლექტივისა, 2. 3. წევრთა რეგისტრაცია, 3. ქალაქის კომიტეტის წევრების არჩევნები, 4. პარტიულ სასამართლოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 5. მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრ პ. წულაიასი: ა) ევროპის დელეგაციის შესახებ და ბ) პარტიულ მუშაობაზე. შემოვიდა წინადადება უკანასკნელი მოხსენება გაკეთდეს პირველ რიგში, რაც ერთხმათ იქნა ყრილობის მიერ მიღებული. ამხ. მომხსენებელმა საკმარისად გააშუქა ა) დელეგაციის ჩვენში ჩამოსვლის მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა ამასთან დაკავშირებულ ჩვენს მთავარ მიზნებს, როგორც არის რესპუბლიკის იურიდიული ცნობა და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. ის შეეხო აგრეთვე ჩვენს შესახებ ევროპის სახელმწიფოებში გავრცელებულ ყალბ ინფორმაციას, რომელიც ამ დელეგაციის საშვალებით უეჭველად გაიფანტება და ევროპის აზროვნება ჩვენი სასარგებლოთ შეიცვლება. ბ) პარტიულ მუშაობის შესახებ მომხსენებელი აღნიშნავს დამფ. კრების ს.-დ. ფრაქციის დადგენილებას პროვინციებში მოხსენებების გაკეთების შესახებ და ეხება რა ადგილობრივი რკ. გზის კოლექტივის დარღვევის საკითხს, ამბობს: უნდა გაიფანტოს ის აზრი, თითქოს რკ. გზის კოლექტივის დაარღვევით თქვენ ჩამოშორდით გლეხობას, თქვენ უნდა დაამტკიცოთ, ამით განდგომით თქვენი შინაური საქმის გაკეთებით, რკ. გზის რაიონის მოვლა და აქედან უფრო მტკიცე კავშირის დაჭერა გლეხობასთან გარდა ამისა უნდა იცოდეთ, რომ დამნაშავე უეჭველად დაისჯება, არ უნდა იქნეს შეწყნარებული; თუ გინდ ის თქვენი ძმაც იყოს; დამნაშავეს არას დროს ხელი არ უნდა დააფაროთ.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომლებზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. მოხსენებები ორივე მოწონებულ და მიღებულ იქნა ყრილობის მიერ.

კოლექტივის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამ. ხ. კოტრიკაძე, რომელიც აცნობს კრებას კოლექტივში მდგარ საკითხებზე ყველა დადგენილებებს და ბიუროში არჩევნების შედეგს: არჩეულ იქნენ წევრებათ ო. წულაია, ი. კვინტრაძე, ს. კოტრიკაძე, პ. ჯიბლაძე და ნ. კალაძე. კანდიდატებათ ჯ. უნდილაძე და ა. ჯანელიძე.

მე-3 საკითხი: ქალაქის კომიტეტის წევრებათ არჩეულ იქნენ 1. პ. წულაია, 2. ქ. შენგელია, 3. ს. კვინტრაძე, 4. ლ. ალანია, 5 ს. კოპალეიშვილი და 6. მიტროფანე ჯანელიძე; კანდიდატებათ კ. ფრანგიშვილი, ი. თოდუა, ა. ასკურავა და ი. ნიკურაძე. დანარჩენი საკითხები სივიწროვის გამო გადაიდვა მორიგ საკოლექტივო პ. წევრთა საზოგადო კრებისათვის.

მომავალი.

მუშათა შორის

გურიის პროფესიონალურ კავშირებში. დღის წესრიგში იყო: 1) ძაფის სახვევი ფაბრიკის მუშათა ჯამაგირების საკითხი, 2) შრომის ბირჟის დაარსება ქ. ოზურგეთში, 3) მოხსენებანი: ა) მუშათა მაგიდის გამგეობისა, ბ) კომისიებისა.

იქონია რა მსჯელობა ძაფის სახვევი ფაბრიკის მუშების ჯამაგირების გადიდების შესახებ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა საბჭომ დაადგინა: 1) გადიდებულ იქნას ფაბრიკის მუშების ჯამაგირები 1 ოქტომბრიდან 50 %-ით, 2) საბჭო უკანასკნელად არჩევს ძაფის სახვევი ფაბრიკის მუშების ჯამაგირების გადიდების საკითხს, მომავალში კი მათი ჯამაგირების განსაზღვრა უნდა ხდებოდეს საერთო წესით: ე. ი. სატარიფო პალატის საშუალებით.

მოისმინა რა გამგეობის თავმჯდომარის გრ. კოპლატაძის მოხსენება, შრომის ბირჟის დაარსების საჭიროების შესახებ, საბჭომ დაადგინა. იღებს რა მხედველობაში, რომ საკითხი შრომის ბირჟის დაარსებისა ქალაქებში უკვე გატარებულია კანონმდებლობითი გზით, რომლითაც ქალაქისა და ერობის გამგეობათ ევალებათ აღნიშნული დაწესებულების ხარჯების დაფარვა, საბჭო ადგენს: დაარსებულ იქნას ქ. ოზურგეთში შრომის ბირჟა, ხოლო მისი დაარსებით გამოწვეული ხარჯების დაფარვის შესახებ აღიძრას შუამდგომლობა ქალაქისა და ერობის გამგეობათა წინაშე.

მოისმინა რა მუშათა მაგიდის გამგეობის მოხსენება საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილებანი: 1) გაეგზავნოს შეკითხვა თფილისის მუშათა მაგიდის გამგეობასა და შრომის სამინისტროს: ვალდებულნი არიან თუ არა დაწესებულებათა უფროსნი შეავსონ უკვე ამოწურული სახსრებით ფონდი და თუ ამას არ ისურვებენ, ვალდებულნი არიან თუ არა გადაიხადონ სახსრებით დახმარების სამაგიეროთ, სატარიფო პალატის მიერ დადგენილი პროცენტები? 2) დაევალოს მუშათა მაგიდის გამგეობას ყველა ოპერაციების შესახებ ანგარიშების პრესაში გამოქვეყნება და აგრეთვე მალე და სარევიზიო კომისიას მუშათა მაგიდისა დაევალოს მომავალ სხდომაზე ფართო მოხსენების გაკეთება.

მოისმინა რა დელეგაციის შეხვედრის მომწყობი კომისიის მოხსენება, საბჭომ დაავალა გამგეობას გაწეული ხარჯების დაფარვა. გაეცნო რა რ. ჩხაიძის დაბახანაში არსებულ მდგომარეობას, საბჭოს მიერ გაგზავნილი წევრის ყ. იმედაშვილის საშუალებით, საბჭომ დაავალა გამგეობას, წინადადება მისცეს რ. ჩხაიძის დაბახანის უფროს მუშას რათა მან მუშების დამქირავებელთან დაბეზღებას (თუ კი ამას ადგილი ქონდა) თავი დაანებოს, ხოლო მუშებისადმი მისი მოწოდება: რვა საათის სამუშაო დროს პირნათლად შესრულების შესახებ, მოწონებულ იქნას.

ეცნობოს დაბახანისა და აგრეთვე სხვა წარმოებათა მუშებს, რომ რვა საათის განმავლობაში ისინი ვალდებულნი არიან, ინტენსიურად იმუშაონ.

საბჭოს მდივანი **ალ. მენაბდე.**

ავლაბრის მუშათა კლუბი.

11 ოქტომბერს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა. დაესწრო გამგეობის წევრთა უმრავლესობა. გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. იოს. ხუციშვილმა ვრცელი მოხსენება გააკეთა და გამგეობას გააცნო მთელი წლის შემოსავალ-გასავალი, იდეური მუშაობა მუშათა კლუბის გარშემო, წარსულ წლის სეზონის დასაწყისი, ქართული და სომხური დასის რეჟისორების მუშაობა, რეპერტუარი და სხვა. აღსანიშნავია აგრეთვე მუშათა კლუბის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა მთელი წლის განმავლობაში.

გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება სიტყვიერ მიღებული იქნა და ამ საგანზე გამგეობამ დაადგინა შემდეგი: ვინაიდან მთელი წლის ანგარიშები მოითხოვს ფრიად საწრაფო დალაგებას, ამისათვის მოწვეულ იქნას სპეციალისტი ბუხგალტერი, რომელიც მოაწესრიგებს მთელს ანგარიშებს, და მომავალ საზოგადო კრებისთვის წარმოუდგენს გამგეობას.

მოსმენილ იქნა პიანისტ ბ-ნ ლანგერის განცხადება სალიკვიდაციოს მიღების შესახებ. ბ-ნ ლანგერს წინადადება მისცა გამგეობამ შემოიტანოს წერილობითი განცხადება, რასაც განიხილავს მომავალი სხდომა.

კლუბის დარაჯ მარტიროსოვს გამგეობამ მისცა 3000 მანეთი შრომის სამინისტროს მოთხოვნილების თანახმად.

მოსმენილ იქნა ანნ ანდრო ვაშაკიძის მოხსენება, რომ გამგეობამ მიაქციოს ყურადღება რეპერტუარს. ამ საგნის შესახებ გადასწყდა, რომ მიღებულ იქნეს ზომები, რაც შეიძლება შესაფერისი პიესები დაიდგას.

აბოვიანცის ქალის განცხადების შესახებ გამგეობამ დაადგინა: ვინაიდან ლოტოზე მოსამსახურეთა ზოგიერთი პიროვნებები ჩადიოდენ ისეთ არა სასურველ საქციელს, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონებოდა, აბოვიანცის ქალს თავისი დაუდევრობით ამის წინააღმდეგ ხმა არ ამოუღია, ამისათვის გამგეობა რჩება თავის წინანდელ გადაწყვეტილებაზე და აბოვიანცის ქალს სამსახურიდან გადაყენებულად სთვლის.

ვერხვი.

პროვინცია

ზედა-საქარა. (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი აკრავს ქალაქ ზესტაფონს. კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილია იგი. მიზეზი ამისა მრავალია. ამ სოფელს თუმცა მრავალი ინტელიგენტური ძალები მოეძებნება,, მაგრამ ისინი თავის სამშობლო სოფელს ყურადღებას არ აქცევენ.

წლევანდლამდე არ ყოფილა აქ არც ერთი კულტურული დაწესებულება, გარდა პირველ დაწყებითი სკოლისა და ისიც ისე დაზიანებულია შენობის მხრივ, რომ მეცადინობა შეუძლებელია. წელს კი როგორ იქმნა ადგილობრივ ინტელიგენტთა თაოსნობით დაარსდა კოოპერატივი, მაგრამ რა შეუძლია იმ კოოპერატივს, სადაც 5000 მანეთამდეა თანხა. ამის მიზეზი არის ხალხის გულგრილობა და დაუდევრობა ასეთ ორგანიზაციისადმი. ადგილობრივმა მოწავლე ახალგაზრდობამ განიზრახა სამკითხველოს დაარსება, ამ მიზნისათვის გაიმართა საღამო წარმოდგენა, რომლიდანაც წმიდა შემოსავალი დარჩა 4000 მ. ამ თანხით კი სამკითხველოს არსებობა ყოვლად შეუძლებელია. ამისათვის განზრახვა აქვთ დაარსონ სამკითხველოს ფონდი, რასაც უნდა დაეხმარონ, როგორც ამ სოფლის მოშორებული ინტელიგენცია, აგრეთვე ყველა ისინი, ვისაც ესმის სამკითხველოს მნიშვნელობა. მოუწოდეთ ყველა გულშემატკივართ დაეხმარონ რითაც კი შეუძლიანთ. სამკითხველო დაარსებულია პატიოსან მოღვაწისა და ხალხისთვის თავდადებულის ვარლამ საყვარელიძის სახელობაზე.

ილიკო ნარულიხპირელი.

ნიკორწმინდის და აქარის საზოგადოება. (რაჭა). ეს საზოგადოებები მდებარეობენ რაჭის მაზრის დასავლეთით, მთაში შედის ათამდე სოფელი; რიცხვით 1,200 კომლია. მართალია დღევანდელ მართველობებს და მის ვეურთ აუარებელი საქმეები აქვსთ, მაგრამ არც ის უნდა დაივიწყოთ, რომ ასეთი მნიშვნელოვან მხარეს მაზრისას უსათუოთ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და იქ მუშაობა გაცხოველდეს, თორემ ხალხის გონებრივი სიბნელის გამო მოსალოდნელია საფრთხე.

ხალხს ერთგული და მათთვის გულშემატკივარი ამ საზოგადოებებში სანთლით საძებარია და თავზე ხელაღებული ბალშევიკები და სხვა (აუარებელი) ხალხის მტრები ზოგიერთ მღვდელმსახურებების და ხულიგნების სახით ბლომათ მოიპოვებიან.

ამ საზოგადოებებში გაცხოველებულათ მუშაობენ ბოლშევიკები, კვირაში ორჯელ თუ არა ერთხელ მაინც აქვთ კრებები სასწავლებელში, ძალიან მოუხშირეს მაზრის პარტიულ კონფერენციებს. მოდიან მაზრის ყველა კუთხეებიდან ბოლშევიკები და რაღაც დიდ ფუცი-ფუცში არიან. საყურადღებოა ის, რომ უმრავლესობა ამ ვითომ ბოლშევიკებისა არიან ძველი მთავრობის ცნობილი აგენტები.

დღემდი ამ ვაჟბატონებს ხალხის ტყავის ძრობის მეტი არა ასულდგმულებდა რა და ახლა რამ გამოსცვალათ.

ეს ვაჟბატონები იმდენათ არიან ბოლშევიკები, რამდენათ მათ ვერ მოუნელებიათ ხალხის თავისუფლება და თავისი უნიადაგობა დემოკრატიულ წეს-წყობილებაში. ისინი გაცხარებით მუშაობენ და ხალხს სწამლავენ.

ადგილობრივ სოც. დემ. ორგანიზაცია ეს მეოთხე თვეა კრება არ ქონებია და არაფერი უკეთებია.

მერე ვინ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება?

თემებმა? თემები ჯერ არ არსებობენ. სამაზრო ერობამ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება. უნდა ინებონ ერობის გამგეობის წევრებმა ან სხვამ მათი სახელით აქ მოსვლა, აგრეთვე მაზრაში მყოფმა დამფ. კრების წევრებმა, რომლებიც სოფელში არიან სამუშაოთ გამოგზავნილნი და ესაუბრონ ყოველგვარ საერო-პოლიტიკურ საკითხებზე მათ ამომრჩევლებს, რასაც დღემდე არ ქონებია ადგილი. მართალი მაისის შუა რიცხვებში იყო აქ ბ. გომართელი, რომლის მოსვლამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხში, მაგრამ ეს არ არის რასაკვირველია საკმარისი. მაზრაში მყოფი ძალები უნდა აუცილებლად შეუდგენ ამ მხარეში მუშაობას.

სამაზრო პარტიულმა კომიტეტმა კი მთელი თავისი ძალებით უნდა შეუდგეს ამ საზოგადოებებში პარტიული მუშაობის თავის სიმაღლეზე დასაყენებლად, საქმის კეთებას, ერობის გამგეობამ უნდა დააჩქაროს თემების მოწყობა ურომლისობაც ძლიერ აბრკოლებს საქმეს. აიღეთ მაგალითად ადგილობრივი სასწავლებლების მასწავლებლების მიერ რვეულების პირდაპირ სპეკულიატიურ ფასებში გაყიდვა. ეს სპეკულიაციაა, რაც მასწავლებლებს არ ეპატიება; მოწაფეთა მშობლებსაც გული უსკდებათ და სძულდებათ ბავშვის სწავლება. თემი რომ იყოს, ამას ადგილი აღარ ექნებოდა.

„მეთვალყურე“.

წერ. რედაქციის მიმართ

როგორც გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული, მომარაგების სამინისტრომ გადასწყვიტა ქერის პურის გაუმჯობესება ხორბლის შერევით. ამის შესახებ 6 ენკენისთვეს გამოვცხადდი მუშათა მაგიდის გამგესთან, რომელმაც მომცა ორი კვირის ულუფა 500 ფუთი ხორბალი, მივიღე რა საამისო ქაღალდი, წავედი მაშინვე მომარაგების სამინისტროს დირექტორთან იქ დამხვდა დირექტორის თანაშემწე მელიქოვი, რომელსაც წარვუდგინე ქაღალდი.—„შემდეგ შემოიარეთ, ეხლა არა მაქვს ხორბალიო“—მიპასუხა მან. მის მერე დავდიოდი ყოველ დღე და ვღებულობდი ერთ და იმავე პასუხს. „ხვალ მოდიო“. უკანასკნელად მივედი 10 ენკენისთვეს და ისეთივე პასუხი მივიღე. ამავე დროს ვხედავდი, რომ ბევრ წარმოებებში და აგრეთვე სახაზინო რკინის გზაზედაც პური გაუმჯობესდა. ამიტომ წავედი ბ-ნ მომარაგების მინისტრთან, მაგრამ იგი დირექტორთან წასულიყო. მეც დავედევნე უკან. დირექტორის კანცელარიაში თითქმის ერთი საათი დაგვიანდა. შემდეგ გამოვიდა და გამოგვიცხადა იქ მყოფთ: —„ვისაც საქმე გაქვთ ჩემთან, მობრძანდითო“.—მივედი მეც და ვუთხარი ჩემი საქმე. გაჯავრდა და წამიყვანა მელიქოვთან. „ამ კაცს რათ არ აძლევთ თავის ხვედრ ხორბალსო“: ჰკითხა მან. „მაგან უკვე მიიღო თავისი ნორმაო“,—იყო პასუხი. მე განვუმარტე როგორც იყო საქმე, უბრძანა მელიქოვს—ეხლავე მიეცით ხორბალიო,—რაც იმ წამსვე იქნა შესრულებული.

ბ-ნ მელიქოვს კარგათ უნდა მოეხსენებოდეს, რომ უვარგის პურის ნიადაგზე უკმაყოფილება ყველგან ტალღასავით მოედვა. ამიტომ საჭირო იყო მეტი სიფხიზლე და უნარიანობა, რომ პური რაც შეიძლება მალე გაუმჯობესებულიყო. მას კი 6 ენკენისთვეს აქეთ ისიც ვერ გამოერკვია, რომ მე ვთხოულობდი არა ნორმას, არამედ ამ ნორმის გასაუმჯობესებელ ხორბალს და ყოველ დღე მეუბნებოდა—ხვალ მოდიო.

რას მივაწეროთ ეს?

ყოველთვის მინისტრი სად შევაწუხო, რომ საქმე მალე გავაკეთო ხოლმე!

კახეთის რკინის გზის სასურსათო კომიტეტის წევრი **ნესტორ ფადაჭკორია.**

რედაქტორი [illegible] ნათაძე

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებელი
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს
მათემატიკაში
ბავშვებს და მოზრდილთ ვამზადებ
მე 2, 3, 4, 5, 6 კლასის
მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25, (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან 5) ი. მ. მაჩაიძის ბინა. (3333 10—6)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისის (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიას ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7. ს, ბელგიის ქ. № 5, ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 ([illegible]) ტელეფონი 7—38. (16—ნოემ)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი
ი. ა. ლომოური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. გ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

ქ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7 ნოემ.)

ექიმი
ნ. ლ. წურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კილურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა, თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი ა. დ. პეპელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

ექიმი მ. ა. შაჰრაზი
სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] დგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. [illegible] ქ. № 33. 21 ნოე.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 ს საღ. 4 და 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზიმელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1 ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს:
საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16 ნოემ.).

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება
ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 4 ნოემბერს დილის 12 საათზედ მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით ხელმეორეთ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თფილისის გარნიზონისთვის ერთის წლის ვადით ხორცის და ცხიმის ჩაბარების შესახებ დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში,—ბარიატინის ქუჩა № 10 დილის 9 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდის. (ნ. 3—1)

ხალხური სტამბა, [illegible] ქუჩა №